

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარინე ცინცაძე

ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის ტბელ აბუსერისძის

შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნაილე მიქელაძე,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ხიჭაური 2019

ანოტაცია

ნაშრომში „ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის ტბელ აბუსერისძის შემოქმედებაში“ ყურადღება გამახვილებულია წმიდა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელთა კვლევა ღირებულია არა მარტო მეცნიერული თვალთახედვით, არამედ ისტორიულ-თეოლოგიური თვალსაზრისითაც.

წმიდა ტბელ აბუსერისძის ნაშრომებს გააჩნია გამოკვეთილი სამეცნიერო მიზანმიმართულება და წარმოადგენს სრულიად ახალ სიტყვას ქართული მეცნიერების ისტორიაში.

წმიდა ტბელ აბუსერისძემ, როგორც მეცნიერმა და მოაზროვნემ შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომები, რომლებიც თავისი სამეცნიერო ღირებულებით სცილდება იმდროინდელი საქართველოს საზღვრებს.

წმიდა ტბელ აბუსერისძის ნაშრომები თავისი ეროვნული იდეებით აგვირგვინებდა X-XII საუკუნეების საქართველოს უდიდეს მოაზროვნეთა ლიტერატურულ და მეცნიერულ მემკვიდრეობას. მისი თხზულებები გამოირჩევა აღმზრდელობითი და ტროპოლოგიური მნიშვნელობის ხაზგასმით.

ამრიგად, თემა აქტუალურია. ნაშრომში აგრეთვე განხილულია მწერლის შემოქმედების უანრობრივი თავისებურებები.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის.

Annotation

In the work "For Understanding Some Issues in Tbel Abuseridze's Creative Works" focuses on the important facts of the life and work of Saint Tbel Abuseridze, the research of which is valuable not only from a scientific perspective but also historical-theological point of view.

The works of St. Tbel Abuseridze have a distinct scientific purpose and represents a completely new word in the history of Georgian sciences.

Saint Tbel Abuseridze, as a scientist and thinker, created the works of epochal significance that are beyond the boundaries of Georgia with their scientific values.

The works of Saint Tbel Abuseridze with their national ideas crowned the literary and scientific heritage of the greatest thinkers of Georgia in the X-XII centuries. His compositions are distinguished by the pedagogical and topological significance.

So the topic is relevant. The work also represents the features of the genre variety of the writer's creative works.

We believe that the work will be interesting for those interested in St. Tbel Abuseridze's creative work.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	5
თავი I. წმიდა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა.....	11
თავი II. წმიდა გიორგისთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის ქართულ მწერლობაში.....	33
თავი III. ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის წმიდა ტბელ აბუსერისძის „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისანის-მიხედვით.....	43
ძირითადი დასკვნები.....	66
გამოყენებული ლიტერატურა.....	69

შესავალი

გენიალური საეკლესიო მწერალი, ღვთისმეტყველი, მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, წმიდა **ტბელ აბუსერისძე** (დაიბად. დაახლ. 1190 წ. და გარდ. 1250 წ.) - ეკუთვნოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერისთავთ-ერისთავთა ცნობილ გვარს.

ისტორიულად, „XIII საუკუნის მწერალი, ისტორიოგრაფიული ასტრონომიული ტრაქტატების ავტორია. იგი იყო ხიხანთა (აჭარის) ერისთავის ძე, მის მთავარ თხოულებად უნდა ჩავთვალოთ „სასწაულნი წმინდისა გიორგისნი, ანდერძი...მოქმულისაი“, რომლის პირველი ნაწილი აბუსერისძეთა საგვარეულო მათიანეა, ხოლო მეორე ნაწილი წმიდა გიორგის შესახებ მოთხრობილი ადგილობრივი თქმულებები და სასწაულებია. მნიშვნელოვანია აბუსერისძე ტბელის ქრონოლოგიურ-ასტრონომიული ტრაქტატი წელთააღრიცხვის სისტემების შესახებ და საეკლესიო დღესასწაულთა ასტრონომიულ მონაცემებზე დამყარებული ცხრილები(A-85). „გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემლისანი, წმიდისა იოვანე მახარებლისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი“ აბუსერისძე ტბელს წარმოაჩენს, როგორც დახელოვნებულ ჰიმნოგრაფს (გაბიძაშვილი, მამაცაშვილი, ღამბაშიძე, 2007:17).

ერთობ საყურადღებო ისტორიის შემცველია, თავად ავტორის გენიალოგიური მონაცემები. კერძოდ: „XI-XIV საუკუნის საქართველოს დიდი ფეოდალთა საგვარეულოთა გვარის პირველი წარმომადგენელი არტანუჯის ერისთავი იოანე აბუსერისძე ბაგრატ IV-ის მეფობის პირველ წლებში იხსენიება. ამ დროს აბუსერისძენი ყოფილან კლარჯეთის (არტანუჯი) და ხიხათა (აჭარა) ერისთავები და ციხისჯვრისა და აწყურის სამეფო ციხეების გამგებლები. XI ს. II ნახევარში მათ დაკარგეს ჯერ არტანუჯი, შემდეგ ციხისჯვარი და აწყური. XII-XIII საუკუნეებში იყვნენ მხოლოდ ხიხათა ერისთავთერისთავები. XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (გარდ. 1355წ.). უკანასკნელად აბუსერისძენი იხსენიებიან XVI საუკუნის სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა სიაში. აქ მოხსენიებულია თითქმის ყველა აბუსერისძე, რომელთაც სერიოზული წვლილი შეიტანეს საქართველოს, როგორც პოლიტიკურ, ისე საგანმანათლებლო და კულტურულ ცხოვრებაში“ (ვარდოსანიძე, 2009:499).

მეცნიერთა კვლევათა მიუხედავად, „აბუსერისძე ტბელის გარდაცვალების ზუსტი თარიღი არ არის დადასტურებული, მაგრამ წარმოდგენილ კვლევებში ჩანს, რომ 1233 წელს იგი უკვე ჩამოყალიბებული მწერალი და მეცნიერია. ამავე წელს ამთავრებს იგი დიდი კრებულის შედგენას, რომელშიც სხვა ავტორის შრომების გვერდით შევიდა მეცნიერის სამი ორიგინალური თხზულება: ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი სამთა იოვანეთა“ (ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა), ჰავიოგრაფიულ-ისტორიული მოთხრობა „ახალნი სასწაულნი წმინდისა გიორგისანი“, რომელშიც აღწერილია ოპიზის მახლობლად ბასილის ან ბოლოკ ბასილის მიერ წმინდა გიორგის ბრძანებით, მის სახელზე ეკლესიის აშენების ამბავი. გადმოცემულია ალავერდის წმინდა გიორგის სასწაულმოქმედებანი. ეს თხზულება, აგრეთვე, საყურადღებო-საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს, მასში საკმაოდ ხატოვნად და საინტერესოდაა წარმოდგენილი, იმდროინდელი საქართველოს ყოფა ცხოვრების სურათები“ (აბუსერისძე, 1998:3).

აბუსერისძე ტბელის, კალამს ეკუთვნის კალენდარულ - მათემატიკური გამოკვლევა - „ქრონიკონი სრული მისითა საუნწყებელითა განგებითა“, რომელმაც დღემდე შეინარჩუნა საცნობარო პრაქტიკული, სასწავლო-პედაგოგიური და მათემატიკური ორიენტაციის სამეცნიერო კვლევითი ღირებულება. იგი მრავალი თვალსაზრისით არის უნიკალური ნაშრომი და როცა ვლაპარაკობთ ტბელის, როგორც დიდი ასტრონომისა და მეცნიერის შესახებ, მაშინ ქართული მეცნიერების ისტორიაში მისი განსაკუთრებული ადგილის შესახებაც უნდა ვილაპარაკოთ (იქვე, 3).

გელათში ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობას გვიდასტურებს K-22 ხელნაწერიც, რომელიც შედგენილობით ენათესავება A-85 კრებულს, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იწყება ტბელ აბუსერისძის საგალობლით («გალობანი სამთა იოვანეთანი»). ამ ორ ხელნაწერს შორის საერთოა სხვა მასალაც, კერძოდ, იოანე პეტრიწის, არსენ ბულმაისიმისძის, იოანე შავთელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები.

მართლაც, წმიდა ტბელ აბუსერისძის ნაშრომები, მე-10-12 საუკუნეების საქართველოს ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობის ერთ-ერთი გვირგვინია.

ტბელ აბუსერისძის ორიგინალური შემოქმედება მოიცავს 5 თხზულებას: 1. «ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი»; 2. «გალობანი სამთა იოვანეთანი»; 3. «გალობანი მწვალეებელთა შეჩუენებისანი»; 4. «გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი»; 5. «ქრონიკონი სრული მისითა საუნწყებელითა განგებითა».

ყურადსაღებია, მისი ასტრონომიული კვლევებები. კერძოდ, აბუსერისძე ტბელმა, როგორც მეცნიერმა და მოაზროვნემ შექმნა ეპოქალური მნიშვნელობის ნაშრომი, რომელიც თავისი სამეცნიერო ღირებულებით სცილდება იმდროინდელი საქართველოს საზღვრებს. ფაქტობრივად. მან მოამზადა „საეკლესიო კალენდრის

რეფორმის მეცნიერული საფუძვლები. ავტორი შეეცადა შეეფარდებინა ერთმანეთისათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა, პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებინა ისინი. აბუსერისძე ტბელმა გამოავლინა მის დროს მოქმედი კალენდრის ძირითადი ცთომილებანი, შექმნა სახელმძღვანელო ახალი კალენდრით სარგებლობის წესის შესახებ და ა.შ. „ქრონიკონი არა მარტო საცნობარო ნაშრომია, არა მხოლოდ ასტრონომიული ტრაქტატია, არამედ მას განსაკუთრებული ადგილი უკავია ძველი ქართული პედაგოგიური ლიტერატურის ძეგლებს შორის. წინამორბედ ავტორთაგან განსხვავებით, მის მიერ დასმულ ყოველ საკითხს ახლავს სათანადო განმარტებანი და არგუმენტაცია. ავტორი მუდმივ კონტაქტშია მკითხველთან და განუხრელად ასრულებს პედაგოგის ფუნქციას“ (აბუსერისძე, 1998:3).

ავტორის ლიტერატურული მემკვიდრეობა დღეის მონაცემებით შესწავლილად ითვლება. კერძოდ: „წმინდანის მიერ 1233 წელს დასრულებული კრებულის ხელნაწერი დღეს ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის ინსტიტუტის ფონდებში A-85. ამ კრებულში წარმოდგენილ აბუსერისძისეულ ნაშრომთაგან „ქრონიკონის არასრული ტექსტი პირველად გამოიცა 1868 წელს, პროზაული თხზულება 1898- ხოლო საგალობელი 1993 წელს.

წარმოდგენილ ტექსტს თანდართული აქვს ვრცელი ფილოლოგიურ-არქეოლოგიური გამოკვლევა საკუთარ სახელთა საძიებელი და სიმფონია - ლექსიკონი, რომელიც ფასდაუდებელ მასალას იძლევა ქართული სალიტერატურო ენის შესწავლისათვის (იქვე, 3).

ფრამგმა მეცნიერმა მარი ბროსემ აბუსერისძე ტბელის ტრაქტატის - „ქრონიკონი მისითა საუწყებლითა განგებითა“ - გაცნობის შემდეგ შენიშნა: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ მე-12 აიძულა შესდგომოდა კალენდრის შესწორებასო“. ცნობილი ქართველოლოგის ეს შეფასება უპირველესად

ტბელის ნაშრომის მაღალ ღირსებაზე მიუთითებს დიდმა ქართველმა სწავლულმა, ნაყოფიერმა მწერალმა, რუსთაველის უმცროსმა თანამედროვემ, მკვიდრმა აბუსერისძემ შეძლო ყოფილიყო თავისი ეპოქის ღირსეული შვილი და წარმატებით გაეგრძელებინა ის შემოქმედებითი ტრადიციები, „ოქროს საუკუნემ“ რომ დაამკვიდრა საქართველოში.

აბუსერისძენი, როგორც აჭარისა და შემდგომში კლარჯეთის პატრონები, პირველად მე-11 საუკუნი მოიხსენიებიან. საუკუნეთა განმავლობაში მათ არაერთგზის გამოუჩენიათ თავი პოლიტიკურ, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი საქმიანობით.

X-XIII სს. ზოგადად, საქართველოს ისტორიაში, მდიდარია, უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური მდგომარეობით. ეს ეპოქა გამორჩეულია, არა მხოლოდ საგანმანათლებლო ცვლილებებით, არამედ კულტურისა და ლიტერატურის აღმავლობით. რაც მკვეთრად აისახა ერის იდეოლოგიურ ცხოვრებაში.

ნაშრომის მიზანია, ერთხელ კიდევ სამზეოზე გამოვიტანოთ დიდებული წმინდანისა და საზოგადო მოღვაწის, წმიდა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვანი საკითხები. ყურადღება გავამახვილოთ მწერლის საერო და სასულიერო თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებზე. ასევე სიღრმისეულად გავაანალიზოთ, მკვლევართა, კრიტიკოსთა ნააზრევები მისი შემოქმედების ირგვლივ.

ყურადღება გავამახვილოთ და ვაჩვენოთ ის დიდი ეროვნული როლი, რომელიც წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედებამ შეასრულა თავის დროზე. ცხადია, მწერლისათვის ლიტერატურის ისტორიული წარსულით ხედვა, აწმყოს ეროვნულ იდეალს გამოხატავს. წმინდანის გამორჩეულ შემოქმედებათა შორის, ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს წმიდა გიორგის სასწაულებთან დაკავშირებული

ისტორიები, რომელთა კვალი საუკუნეების შემდგომაც შემორჩა, გაუბედურებული კუთხის, აჭარის, ტრაგიკულ ისტორიაში.

ამდენად, წმინდანის, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების გაცნობისას, უნებლიედ გვეუფლება შინაგანი განცდა სულიერებისა და ეროვნულობისა, რომელსაც დიდებული ქვეყნის, „ოქროს ხანის“, საძირკველთან მივყავართ.

მისი შემოქმედების წარმოდგენილ საკითხთა მეცნიერული შესწავლისა და გააზრების აქტუალობას განსაზღვრავს მწერლის შემოქმედების ჟანრობრივი თავისებურება: თემათა მრავალფეროვნება, ენა. მეტყველება, სტილი და მაღალმხატვრული ჰაგიოგრაფიული ისტორიების საერო ლიტერატურაში შემოტანა. თანხმობანთა ალიტერაცია საგალობლებში და სხვა.

კვლევის ობიექტია, წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედებისა და მის ირგვლივ არსებულ მასალათა შესწავლა და კვლევა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს, ის რომ წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედება არაერთი მეცნიერისა და მკვლევარის შესწავლის საგანი გამხდარა, თუმცა იმ მხრივ, რა მხრივაც, ჩვენ გვაქვს კვლევა წარმოდგენილი, ამ ფორმით იგი არ შესწავლილა.

ნაშრომში, კრიტიკულადაა განხილული სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები. რის საფუძველძვეც მიღებულია კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ემყარება თანამდეროვე მკვლევართა შეხედულებებს.

სამაგისტრო ნაშრომში დანვრილებითაა შესწავლილი და შეფასებული საკითხზე გამოქვეყნებული ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია. ბუნებრივია, აბუსერისძე ტბელის შემოქმედებითი მოღვაწეობის დახასიათება ამომწურავი ვერ იქნება.

კვლევისას, ერთხელ კიდევ შევეცდებით, მისი შემოქმედებიდან ზოგიერთი საკითხის ნაწილობრივ შესწავლას, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა წარმოდგენილი.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, ეს და სხვა საკითხები ვაქციეთ მეცნიერულ კვლევის საგნად.

თავი I. წმიდა ტბელ აბუსერისძის ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე მიმოხილვა

აბუსერისძენი, როგორც აჭარისა და შემდგომში კლარჯეთის პატრონები, პირველად მე-11 საუკუნეში მოიხსენიებიან. საუკუნეთა განმავლობაში მათ არაერთგზის გამოუჩენიათ თავი პოლიტიკურ, სამეცნიერო თუ შემოქმედებით ასპარეზზე.

ისტორიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ „ტბელ აბუსერისძე დაიბადა ხიხათა საერისთავოში. სასულიერო განათლება მიიღო ვარძიაში, იოანე შავთელთან, 1200-

1210-იან წლებში და იყო თავისი მოძღვრის საქმის გამგრძელებელი, რასაც გვიდასტურებს სამეცნიერო-პედაგოგიური ნაშრომი «ქრონიკონი სრული მისითა საუნწყებელითა განგებითა». მასში ტბელ აბუსერისძეს ახალ საფეხურზე აჰყავს შავთელის მიერ წამოწყებული საქმე. ანალოგიური შინაარსის თხზულება («ასურული კვიკლოსის საძიებელი და მასწავლებელი») წმ. იოანე შავთელს, ადვილად დამახსოვრების მიზნით, ლექსად ჰქონდა დანერილი. თუმცა ეს იყო მხოლოდ სასწავლო-პედაგოგიური დანიშნულების სახელმძღვანელო. მისგან განსხვავებით ტბელის ნაშრომს აგრეთვე გააჩნდა გამოკვეთილი სამეცნიერო მიზანმიმართულება და წარმოადგენდა სრულიად ახალ სიტყვას ქართული მეცნიერების ისტორიაში.

ვარძიაში ტბელ აბუსერისძის იოანე შავთელზე დამოწაფებისათვის ხელი უნდა შეეწყოს ამ სავანის გეოგრაფიულ სიახლოვესაც აბუსერისძეთა მამულთან, ხიხანთან.

აგრეთვე წყაროებიდან ცნობილია, რომ 1216 წელს ტბელ აბუსერისძე ესწრებოდა ივანე ათაბაგის (მხარგრძელის) მიერ დვინში მოწვეულ საეკლესიო სასამართლოს. სტეფანომ ორბელიანის ცნობით, სასამართლოში მონაწილეობას ღებულობდნენ აგრეთვე ვარძიის წინამძღვარი და მემნა ჯაყელი - ძმა ბოცო ჯაყელისა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ტბელ აბუსერისძის და - დიოფალ-დიოფალი ვანენი.

ამავე პერიოდში ტბელ აბუსერისძე მოღვაწეობდა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრებში, როგორცაა: მარტყოფის ღვთაება და ალავერდის მთავარმონაშე. სწორედ ამ კერებმა შთააგონა ტბელი, ახალი თხზულებებით განევრცო ასურელ მამათა ჰაგიოგრაფიული ციკლი. მისი ინიციატივით, საქართველოს ეკლესიაში დანესდა მარტყოფის ხატის დღესასწაული, შეიქმნა კერამიონისადმი მიძღვნილი ჰიმნოგრაფიული ციკლი, ალავერდის მთავარმონაშის სასწაულები კი მან თავად აღწერა ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში «სასწაულნი წმიდისა მთავარმონაშისა გიორგისნი».

1222-1233 წლებში, მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევების დროს, ტბელ აბუსერისძე ხიხანში ბრუნდება და თავისი ძმების, ერისთავთ-ერისთავების აბუსერ IV-ისა და ვარდანის, დავალებით, ხელმძღვანელობს ხიხათა ციხისა და ეკლესიის მშენებლობას. 1233 წელს ტბელ აბუსერისძემ სწორედ ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიას მიუძღვნა ლიტურგიკული და სამეცნიერო-სასწავლო შინაარსის ძვირფასი ხელნაწერი კრებული, რომელიც ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული A-85 ნომრით.

აღნიშნულ ეპისტოლეტთან ერთად არსენმა ხიხანში გაგზავნა აბუსერის დაკვეთით დაწერილი საგალობლები, რომლებიც მარტყოფის ხელთუქმნელ ხატს ეძღვნება. ხელთუქმნელი ხატის ჰიმნოგრაფიულ ციკლში ერთიანდება ტბელ აბუსერისძის მეორე ძმის - ვარდან აბუსერისძის დაკვეთით შეთხზული საგალობლებიც: «მეოთხის გუერდნი გალობანი» (დაწერილი არსენ ბულმასიმისძის მიერ) და «გალობანი ქრისტეს განგებულებისანი» (დაწერილი საბა სვინგელოზის მიერ), რომლის აკროსტიქია «ქრისტე ღმრთის ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს». ცხადია, შუამავალი მეცენატ ძმებსა და გელათში მოღვაწე საეკლესიო იერარქებს შორის ტბელ აბუსერისძე იყო. საგულისხმოა, რომ არსენ ბულმასიმისძემ ოთხი თვის (თებერვალ-მაისის) იამბიკური სვინაქსარი - იოანე პეტრიწის «ხუთთა თთუეთა» იამბიკური სვინაქსარის გაგრძელება - სწორედ მისი თხოვნით დაწერა.

აბუსერისძეთა გვარი საუკუნეთა განმავლობაში აგრძელებდა ქართველი ფეოდალების საუკეთესო მამულიშვილურ და კულტურულ ტრადიციებს. მათი ხეობა, მამული (აჭარა, სხალთის ხეობა) მოფენილი ყოფილა ციხე-სიმაგრეებითა და ეკლესია-მონასტრებით, რომელთა მშენებლობის ინიციატორები თავად ყოფილან. ტბელის მამა, ივანე ერისთავთ-ერისთავი, ბასიანის ბრძოლაში მოუკლავთ (1203 წ.), დაქვრივებული დედა - ეკატერინე (ხათუთა-ერობაში არსებული სახელი) კი მონაზვნად აღიკვეცილა. ხშირად ეკლესიათა მშენებლობას

ფინანსურად და მატერიალურად შეეწოდნენ მწერლის მეუღლე (ბაგული) და დამები.

ხიხათა „აჭარის“ ერისთავთ-ერისთავისთვის, ივანე აბუსერისძის ძე, ტბელი, სავარაუდოდ, მე-12 საუკუნის 80-იან წლებში დაბადებულია. აბუსერისძეთა სამკვიდრო ციხე ხიხანი „ხიხათა“ ყოფილა, მიუვალი, ციხე აჭარის მთიანეთში. მას სასულიერო განათლება მიუღია ვარძიაში, ცნობილ საეკლესიო პირთან, იოანე შავთელთან, დაახლოებით 1200-1210-იან წლებში.

კვლევათა მიხედვით, აბუსერისძეთა ფეოდალური სახელი პირველად ისტორიულ წყაროებში XI საუკუნის პირველი ნახევრიდან იხსენიება და XV საუკუნის დამლევამდე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში აქტიურ როლს თამაშობდა. აბუსერისძენი „სრული საქართველოს“, „ლიხთა ამერისა საქართველოს“ უერთგულესი მოღვაწენი არიან (იქვე, 79).

მკვლევარ მერაბ მეგრელიშვილის მოსაზრებით: „ტბელების საგვარეულო (IX-XI ს.ს) შიდა ქართლის ისტორიული ტბეთიდან წარმოდგება. ამ სახელწოდებს სახელები გვხვდება ასევე ამბროლაურის რაიონში და შუახევში. გასათვალისწინებელია კ. კეკელიძის აზრიც, რომელიც თვლის, რომ ტბელს ხშირად ეპისკოპოსს ეძახდნენ, აღსანიშნავია დავით და ანტონ ტბელები (მეგრელიშვილი, 2009: 190-191).

იმავე მოსაზრებას იზიარებს თეოლოგი ფიქრია ვარდოსანიძე, კერძოდ: „სახელწოდება ტბელი გვაფიქრებინებს რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი. ის ყოფილა ნიჭიერი, განათლებული, ნაყოფიერი მწერალი და ასტრონომი (ვარდოსანიძე, 2009:499).

ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით მკვლევარი, მერაბ მეგრელიშვილი ვარაუდობს, რომ „920 წელს ტბელები ეხმარებიან ქართლის გამგებელ კონსტანტინეს, აფხაზთა მეფე გიორგი II-ის ძეს მამის წინააღმდეგ აჯანყებაში, აჯანყება ჩააქრეს და ტბელები გაასახლეს საქართველოს ტერიტორიაზე,

შესაძლებელია ამითაც აიხსნებოდეს ამ გვარის სოფლების არსებობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში“ (მეგრელიშვილი, 2009: 190-191).

მათ რეზიდენციას წარმოადგენდა ბორცვისჯვრის ციხე-ეკლესია (X ს. შიდა ქართლი) 1920 წ. ოსებმა, მათი საგვარეულო ციხიდან, ტაძრის მოჩუქურთმებული და წარწერიანი ქვები ცხინვალის საავადმყოფოში ჩასვეს“.

ტბელების საგვარეულოს ღირსეულ შვილთა ისტორიების შესწავლისას, განსაკუთრებით, მოიხსენიება აბუსერი, რომელმაც მიიღო ეს სახელი გარეშე მტრებთან ბრძოლაში გამორჩეული მამაცობისათვის. აბუსერი არაბული სიტყვაა და ნიშნავს მამაც მამას, აბუსერის შვილები XI საუკუნიდან „მონათლენ“ აბუსერისძეებად - ასე გაჩნდა სახელი-გვარი აბუსერისძე. გვარის პირველი წარმომადგენელი იყო არტანუჯის ერისთავი იოანე აბუსერისძე (იქვე 191).

თუმცა, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმაზე, თუ რომელი აბუსერისძით უნდა დაიწყოს აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე. თ. ჟორდანიას ახლოდ, „ქრონიკების“ პირველი წიგნის დამოწმებით, 950 წლის ახლო ხანებში ასახელებს ვინმე აბუსერს (კითხვითი ნიშნის ქვეშ) (ჟორდანიას, 1892: 122). იმავე ქრონიკების I წიგნზე (გვ.126) დაყრდნობით, 990 წლის ახლო ხანებში, იგივე ავტორი მიუთითებს გრიგოლ აბუსერისძეს (იქვე). იმ მისამართზე კი, რომელსაც მკვლევარი იმონმებს, ღრტილას კრების მონაწილეთა შორის იხსენიებიან: მელქაძე წურწყაბელი, სანანო ყველეელი, გრიგოლ აბუსერისძე და გაბრიელ უკოს ძე. აქვე ავტორი მიუთითებს ივანე აბუსერისძეზე (არტანუჯის ერისთავი), რომელიც, მისი აზრით, „აქ მოხსენიებული გრიგოლის ძე ყოფილა, ხოლო თვით გრიგოლ ძე უნდა იყოს უცნობი აბუსერისი. იოანეს ძე უნდა იყოს გრიგოლი, ერისთავი არტანუჯისა“ (ჟორდანიას, 1892: 126).

პირველი აბუსერისძე, რომელზეც პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება, ეს არტანუჯის ერისთავი იოვანეა, „მატიანე ქართლისაში“ ამაზე ნათქვამია: „ციხე

არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 293).
ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით, აბუსერი აქ შეიძლება აბუსერიძედ შეგვესწორებინა, „თორემ, ცოტა არ იყოს, უცნაური იქნებოდა ორი სახელის ისე განაწილება, როგორც შემონახული ტექსტშია“ (მუსხელიშვილი, 1941: 17).

რაც შეეხება ლ. მუსხელიშვილის ვარაუდს, იგი შავშეთის კლარჯეთ-აჭარას შორის მდებარეობას ეფუძვნება. ისტორიკოსი ფიქრობდა, რომ „აჭარა, როგორც აბუსერისძეთა მკვიდრი მამული“, ამ დროს, უეჭველად, არტანუჯის ერისთავის საგამგეოში (იქვე გვ.18). ასე რომ „კლარჯეთსა და აჭარას შორის მდებარე შავშეთი ბუნებრივად მასვე (აბუსერისძეს) უნდა სჭეროდა“(იქვე:17). მათიანეში იოანეს საერისთაოში მხოლოდ არტანუჯია დასახელებული, სხვა რა ქვეყნები უნდა მიეღო მას, სინამდვილით, არ ვიცით, მის შემკვიდრეებს კი მრავალი ქვეყანა უჭირავთ: არტანუჯის გარდა, XI საუკუნის 40-იან წლებში აბუსერისძეთა საგამგეოშია ხიხანის, ციხისჯვრისა და სხვა ქვეყნები. ამ ქვეყნებს ამ დროს განაგებს აბუსერი (ყაუხჩიშვილი, 1942: 187) ამ აბუსერს თ. ჟორდანიას, ქართლის ცხოვრების (I, გვ. 225) დამოწმებით, მხოლოდ ხიხანის და არა არტანუჯის ერისთავად ასახელებს და 1050 წლის ქვეშ მიუთითებს (ჟორდანიას, 1892: 122) თუმცა, როგორც ი. სიხარულიძე აღნიშნავს, აბუსერის ხელში ამ დროს ქართლის ცხოვრება გაცილებით ვრცელ ტერიტორიას მიუთითებს, ვიდრე ამას თ. ჟორდანიას გულისხმობს (სიხარულიძე, 1963: 9)

გარდა ამისა, აბუსერი, „მატიანე ქართლისათი“, 1050 წლის ქვეშ კი არა, არამედ 1046 – 47 წლებში ჩანს, როგორც ეს შენიშნა ლ. მუსხელიშვილმა (მუსხელიშვილი, 1941:18) ამავე ისტორიკოსის აზრით, ეს აბუსერი იოანეს შვილი უნდა იყოს (იქვე).

მატიანე ქართლისას ცნობით („აბუსერი ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯვარისა და აწყვერის ციხის პატრონი“) დაყრდნობით ლ. მუსხელიშვილი დაასკვნის: „მას (აბუსერს), მაშასადამე, მამასავით (იოვანესავით)

უჭირავს კლარჯეთი და აჭარა, და შესაძლოა მათ შორის მდებარე შავშეთიც, გარდა ამისა, სამცხის დიდი ნაწილი აწყვერამდე, ეს უკანასკნელი ციხითურთ (იქვე,18).

აბუსერი მეფის ერთგული ერისთავი იყო და აქტიურადაც მონაწილეობდა იმ შინაკლასობრივ ბრძოლაში, რომელიც ბაგრატ მეოთხის დროს მიმდინარეობდა. მეფის რამდენიმე სხვა ერისთავთან ერთად 1046 წელს იგი შეიპყრო ლიპარიტ მეოთხემ (ყაუხიშვილი, 1942: 187) ბაგრატ მეოთხე მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს თბილისის ალყაში იყო, მაინც დაიძრა ლიპარიტის დასათრგუნავად. ასეც მოხდა, მაგრამ მანყვერელის ღალატმა აიძულა უკან გაბრუნებულიყო. კლდეკარის ერისთავმა მეფეს ახლა ნახევარძმა (უფლისწული დიმიტრი) დაუპირისპირა და დიდძალი ლაშქარი შემოიკრიბა. მდგომარეობა გამწვავდა, მაგრამ ლიპარიტს მეფისათვის მძევლად მიცემული შვილის ბედი აფიქრებდა. ასეთ ვითარებაში ურჩი ყმის მძევალს კარგი დღე არ დაადგებოდა. ამიტომ ლიპარიტმა, „ითხოვა იგი (შვილი - ი.ს.) ბაგრატიანგან“ და „ნაცულად გაუშვა აბუსერი თავისი ციხითა მშუიდობით“ (იქვე) თუმცა აბუსერს ბედი მაინც არ წყალობდა. სასირეთის ჭალისთავს გამართულ ბრძოლაში იგი ისევ ჩაუვარდა ხელში კლდეკარის ერისთავს (მუსხელიშვილი,1941:20). ეს ისტორიები ადასტურებს თუ რაოდენ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა აბუსერი ბაგრატიანებისთვის, ამავდროულად გასათვალისწინებელია, ისიც რომ მათ განსაკუთრებული თანამდებობა ეჭირათ სამეფო კარზე და პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ, რაც იმის დადასტურებაა, რომ ისინი გარკვეულ ძალაუფლებას ფლობდნენ.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, „სააბუსერისძო“ ქვეყნებს განაგებს გრიგოლი. სწორედაც, ამ გრიგოლ აბუსერისძეს უნდა მიეღო მონაწილეობა 1046 წელს ღრტილას გამართულ კრებაში. ლ. მუსხელიშვილის აზრით, „1046-47 წელს ის ისევ „ჯეელად“ უნდა ვიგულოთ (მამამისი ყველა ნიშნით, ადრე

გარდაცვლილა), მისი სიკვდილი შეიძლება 1070 წლის ახლო ხანებისათვის დაედოთ (აბუსერისძე ტბელი, 1998:20).

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ღრტილას კრების დროს გრიგოლის მამა, აბუსერი, ჯერ კიდევ ცოცხალია. რაც შეეხება იმას, რომ გრიგოლი ესწრებოდა კრებას და არა თვით აბუსერი, ეს ფაქტი ამ უკანასკნელის ტყვეობაში ყოფნით უნდა აიხსნას. ის 1046 წლის ზაფხულში შეიპყრო ლიპარიტ IV ბაღვაშმა და თითქმის წლის ბოლომდე ჰყავდა ტყვეობაში (ჯავახიშვილი, 1948 :143). აბუსერი ტყვეობიდან განთავისუფლდა მეფესა და კლდეკარის ერისთავს შორის ტყვეების გაცვლის დროს, მაგრამ მალე (სასირეთის ჭალისათვის ბრძოლაში), როგორც უკვე ითქვა, ისევ მალე ერისთავის ტყვე იქმნა. ეს ბრძოლა, როგორც ჩანს, 1047 წლის გაზაფხულზე უნდა მომხდარიყო. ამის შემდეგ აბუსერი წყაროებში აღარ ჩანს და მის ნაცვლად სააბუსერისძოში უკვე გრიგოლი ზის.

ისტორიული წყაროების მიხედვით, არც გრიგოლ აბუსერისძე იყო სვებედნიერი და 1047 წელს არყისციხეს (ახლანდელი ყულალისი, ახალციხის რ-ნი) (არყისციხე - ყულალისი (ხელნაბეჭდი), ბათუმი, 1959) ბრძოლის დროს მისი წინამორბედის ბედი გაიზიარა და ტყვედ ჩაუვარდა აქაც გამარჯვებულ კლდეკარის მფლობელს. „მას სთხოვეს არტანუჯი სიკუდილისა ქადებიტა და მისცა“ (ყაუხჩიშვილი, 1942:188) ეტყობა, ამით ტყვეობიდან კი დაიხსნა თავი, მაგრამ არტანუჯი ველარ დაიბრუნა. ის ერთხანს ლიპარიტს ეპყრა (1097 წლამდე), ხოლო შემდეგ მეფემ დაიჭირა. არც ოძრხე და არც ციხისჯვარი შეუნარჩუნეს მას. ესენი მეფემ კლდეკარის ერისთავის შემპყრობელ სულა კალმახელს უწყალობა (იქვე, 189) ასე გამოეცალათ აბუსერისძეებს ვრცელი სამფლობელოები.

ამის შემდეგ აბუსერისძეთა რამდენიმე თაობა უცნობია.

ასეთ ვითარებაში ყურადღებას იქცევს სოფ. ვერნების (ზემო აჭარა) ეკლესიის ბალავრის ქვის წარწერის აბუსერისძენი (სიხარულიძე, 1963:12). ამ

ქვას წააწყდა და მისი ქარაგმებით შესრულებული წარწერა გადმოიღო თ. სახოკიამ აჭარაში მოგზაურობის დროს (გასული საუკუნის მიწურულში). თბილისში დაბრუნების შემდეგ ეს წარწერა მან გასაშიფრავად გადასცა ისტორიკოსს თ. ჟორდანიას, რომელსაც იგი ასე წაუკითხავს:

„ქე (ქრის-ტე) აღ ნ (აღიდენ) ეე ნი (ერისთავთ ერისთავნი) გრ გოლ (გრიგოლ) და აბს რი (და აბუსერი) და გი (გიორგი) და (ბე) შეენი... (აქ ერთი სიტყვის გარჩევა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა) ზ ქრ (ზაქარია)“ (სახოკია;1950: 232).

1933 წელს ეს წარწერა ადგილზე ინახულა და მისი დაზუსტება სცადა გ. ჩიტაიამ, რომელიც მას ასე კითხულობს:

ქრისტე, აღიდენ

ერისთავთ-ერისთავნი გრიგოლ და

აბუსერი და გიორგი და

შვილნი - მირიან, გრიგოლ, ქავთარ (მუსხელიშვილი,1941:23).

შემდგომში ამ წარწერით დაინტერესებული ყოფილა ლ. მუსხელიშვილიც, თუმცა აჭარის ერისთავთა საგვარეულო ხეში მათთვის ადგილი არ მიუჩენია (იქვე, 23). სახელები გრიგოლ და აბუსერი, რომელსაც ეს წარწერა იხსენიებს, აბუსერისძეთა საგვარეულოში ხშირად გვხვდება XI, XII და XIII საუკუნეშიც, მაგრამ ერთხელაც არ გვაქვს დადასტურებული ერისთავთ - ერისთავი გიორგი, რომელიც სოფელ ვერნების წარწერაშია მოხსენებული. ეს პიროვნებები ი. სიხარულიძის აზრით, ძმები უნდა იყვნენ. მამაშვილობა აქ რომ იგულისხმებოდეს, მაშინ წარწერაში ეს უთუოდ მითითებული იქნებოდა. ამათი შვილები, როგორც დავინახეთ, მეოთხე სტრიქონშია გამოცალკევებული. წარწერას რომ სათანადო ქრონოლოგიური ცნობა ახლდეს, მაშინ ამ ერისთავთ-ერისთავთა და „შვილთა მათთა“ ცხოვრების დრო განსაზღვრული

იქნებოდა, თუმცა წარწერის დათარიღებისათვის საგულისხმო ცნობებს იძლევა მისი პალეოგრაფიული ანალიზიც. ლ. მუსხელიშვილი ამ წარწერას პალეოგრაფიულად XII ან XIII საუკუნით განსაზღვრავდა (მუსხელიშვილი, 1941: 23) თუმცა, ი. სიხარულიძის აზრით, ის უფრო ძველი ჩანს, ამას ადასტურებს ასოთა მოხაზულობაზე დაკვირვება. ეს წარწერა დამწერლობის იმავე ხელით და ხერხებითაა შესრულებული, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული X საუკუნის დამლევისა და XI საუკუნის პირველ ნახევრის საქართველოში (ასოთა კიდურების ტყუბნვეტოვანი დასრულება და სხვა) ვერნების წარწერა პალეოგრაფიულად ანალოგიურია ალავერდის, მანგლისის, შიომღვიმის, სვეტიცხოვლის, სამთავისის და ზედაზენის ამავე ხანის წარწერებისა (ბარნაველი, 1961: 11, 657-5).

აბუსერისძე ტბელის ბიოგრაფიის შესასწავლად უძვირფასესი წყაროა მის მიერვე შედგენილი „მოსახსენებელი“. აქედან ირკვევა რომ ის ყოფილა ერისთავთ-ერისთავ ივანესი და დედოფალ-დიოფალის ხათუთას შვილი. მამა დაღუპულია თურქთა ხელითგან. ლ. მუსხელიშვილის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1206 წელს (მუსხელიშვილი, 1941:22). ამასთან დაკავშირებით მკვლევარი მ. ბროსე კითხვებზე პასუხს არ იძლევა და ხსენებული ფაქტით კმაყოფილდება (Brosset, 1868: 22). თ. ჟორდანიას ვარაუდით კი აჭარის ერისთავი თითქოს ბასიანის ბრძოლაში უნდა დაღუპულიყო 1201 წელს (ჟორდანია, 1892:120). ამავე აზრს იზიარებს ლ. მუსხელიშვილი ბასიანის ბრძოლის თ. ჟორდანიისეული თარიღის 1206 წლის შესწორებით (მუსხელიშვილი, 1941:22.) გავიხსენოთ იერუსალმის ჯვრის მონასტრის სულთა მათიანის ერთი აღაპი, სადაც ვკითხულობთ: „თუესა ოკტომბერსა კვ, ამასვე დღესა აღაპი და წირვაი აბუსერისძისა ივანესი“ (მეტრეველი, 1962: 203). ლ. მუსხელიშვილის ვარაუდით, ამ წარწერაში, აჭარის ხსენებული ერისთავი უნდა იგულისხმებოდეს (მუსხელიშვილი, 1941:22). თუმცა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ი.

სიხარულიძე, მისი აზრით კი აქ მწერლის მამა უნდა იგულისხმებოდეს (სიხარულიძე, 1963:22).

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენლის ბასიანის ბრძოლაში დაღუპვის შესახებ. ისტორიულად ცნობილია, რომ იერუსალმის ჯვრის მონასტრის სულთა მატეანეში (და სხვაგანაც) ალაპების შედგენის რამდენიმე წესი არსებობდა: ალაპი დგებოდა პიროვნების გარდაცვალების დღეს, სახელწოდების დღეს, შემწირველის სიცოცხლეშიც და ა.შ. (ყაუხჩიშვილი, 1959: 98). როგორც ი. სიხარულიძე აღნიშნავს, აღნიშნული თარიღი აჭარის ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალებას აღნიშნავს. ეს პიროვნება ბასიანის ბრძოლაში რომ დაღუპულიყო, მაშინ მისი ალაპი ოქტომბრის ბოლოსათვის კი არ დანესდებოდა, არამედ იმ დროს, როდესაც ეს ბრძოლა მოხდა (ზაფხულში) (სიხარულიძე, 1963:22). თითქოს ამასვე უნდა მოწმობდეს თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობაც: ბასიანის ომში „არცა ერთი ვარგი, მეფისაგან შესწავლილი, კაცი მოკუდა“ არ გვეგონია აჭარის ერისთავი ამ რიგის კაცად არ ეცნო ისტორიკოსს და მისი სიკვდილი არ აღენიშნა (იქვე, 22).

ბასიანის უწინარეს ქართველებს თურქებთან არაერთი დიდი და წვრილი ომები ჰქონდათ. ესენი იყო: შამქორში, ადარბადაგანში, ხლათში, არჭემში, კართან და სხვა. აჭარის ერისთავიც ერთ-ერთ ამათგანში უნდა მოეკლათ (სიხარულიძე, 1963: 23). ამ და სხვა წყაროებზე დაყრდნობით, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მწერლის მამა მართლაც ბასიანის ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა.

აბუსერისძეთა ერთგულებასა და მართმორწმუნეობაზე საუბრობს არსებული ისტორიული წყაროები, საიდანაც ვგებულობთ მწერლის დედა, დიოთვალთ-დიოთვალ ხათუთა გულმხურვალე ქრისტიანი ყოფილა, რომელიც დიდი სასოებით აღავლენდა ლოცვას „სრულისა საქართველოს“ საკეთილდღეოდ:

„და კაცისა მჭამელნი ოტებანი, სრულად საზღვართა შინა სრულისა საქართველოისათა, წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედის ღმრთისა ხატისა მის თანვე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაი ჩემი გამოუთქუმელთა სარწმუნოებითა და სამარადისოითა წინაშემდგომარებითა და დაუდუმებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისაითა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტოვა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა“. ცნობილია, რომ ტბელის დედა „შემდგომად ქმრისა მისისა... აღსრულებისა“ მონაზვნად შემდგარა, ეკატერინეს სახელით. ჩანს, „ანდერძის“ შედგენის დროს ის ცოცხალი აღარ ყოფილა (აბუსერისძე ტბელ, 1998:79).

ასევე ამავე კვლევებიდან ვგებულობთ, რომ აბუსერისძე ტბელი მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ბრძანებულა, მეუღლის სახელი ყოფილა ბაგულ, რომელსაც აქტიური მონაწილეობა მიუღია წმ. გიორგის სახელზე აგებული ეკლესიის მშენებლობაში, „მოსახსენებელში“ აბუსერისძე ტბელი თავისი ოჯახის შესახებ წერს: „ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაი ნააგო საშენსა შინა წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისსა, ჰყოლია შვიდი შვილი, რომელთაგანაც ორი ტყუპი ქალ-ვაჟი მცირე ასაკში გარდაცვლილა, „ორნი ჩვილნი ქალ-ყრმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან და მათცა მოიხსენიებდით“. შვილების სახელებია: რუსუდანი, ზაქარია, ივანე, ონოფრე და აღსართანი (იქვე, 80).

ამ სტრიქონებმა იმთავითვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ლ. მუსხელიშვილი წერდა: „თავის ოჯახთან აბუსერისძე ტბელი გაყრილი ჩანს. ამიტომაც ალბათ, რომ თავის მეუღლეს ის როგორც ასეთს კი არ იხსენიებს, არამედ როგორც თავის შვლთა დედას და თავის შვილებსაც ერთ ადგილას მის, დედის შვილებს ეძახის, რომლებსაც იგი თვითონ დაშორებულია. მართალია, მერმე ის ამბობს, რომ თუ ჩამოთვლილთ გარდა მას, ბაგულს, კიდევ მიეცეს შვილი, „სხუასა ანდერძსა შინა აღვწერო“. მაგრამ აქ უკვე ავტორის შვილები არ უნდა იგულისხმებოდნენ, არამედ ბაგულ მეორედ უნდა

იყოს გათხოვილი და აბუსერისძე ტბელი თავის მოვალედ ჰრაცხს მისი მეორე ქმრის ხელში შეძენილი შვილებიც ახსენოს თავის ანდერძში“ (იქვე გვ. 80). რა თქმა უნდა, ეს საკითხი საკამათო და ერთობ მნიშვნელოვანია, რაზედაც შემდგომში ყურადღება გაამახვილა ი.სიხარულიძემ.

მოსახსენებლის ციტირებული სტრიქონები და ლ. მუსხელიშვილის აზრი საგანგებოდ გაარჩია ი. სიხარულიძემ. მისი სიტყვებით, „განსვენებულ ისტორიკოსს კარგად შეუნიშნავს, რომ ბაგული ბედნაცვალი, მეორედ გათხოვილი ქალი ჩანს, მაგრამ ტბელის ცნობების მისეული ახსნა იწვევს ეჭვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაგული მწერალს კი არ განშორებია და გათხოვილა მეორედ, არამედ სწორედ ტბელი უნდა იყოს მისი მეორე ქმარი. ძნელი სარწმუნოა, რომ მასთან განშორებული ცოლის ვილაცასთან შეძენილი შვილები შეეტანა სხვა ანდერძში... უნდა ვიფიქროთ, რომ ის ხუთი შვილი, ერთი ქალი და ოთხი ვაჟი, რომელიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, ბაგულს პირველი ქმრისაგან ჰყავდა; ამაზე უნდა მიუთითებდეს მწერლის სიტყვები: „მისთა (ბაგულის) შვილთა“, რაც შეეხება ტბელს, ბაგულთან მას შეძენია „მარჩბივნი“ „ქალ-ყრმანი“, რომელნიც უასაკონი დახოცილან“ (იქვე გვ. 80).

მართლაც, ერთი შეხედვით მოულოდნელია გამოთქმები: „ჩემთა შვილთა დედამან“, „მისთა შვილთაცა ახსენებლით“, „ორნი შვილნი ქალ-ყრმანი ჩემნი“. მაგრამ ვფიქრობთ ბედნაცვალობის პრობლემა მხოლოდ ამ ფრაზების მიხედვით არ დგას. მსგავსი სტერეოტიპული გამოთქმები წყაროებში სხვაგანაც გვხვდება, როდესაც საეჭვო არაფერია. მაგალითად ჯვრის მონასტრის აღაპებში (მოსახსენებელში ვკითხულობთ: „**მე ფანასკერტელისა ცოლყოფილმან რიფსიმე შემოვსწირე ორი მაშრობაი, ერთი ამილამბარის სულისა (ე.ი. ყოფილი ქმრის) სამლოცველოდ და ერთი მათისა შვილისა ზაქარიას სადღეგრძელოდ...**“ ეს ზაქარია მათი შვილია, ჩანს აქვე ჩანერილი მეორე მოსახსენებელიდან: „**გაუჩინეთ ჯუარის მამამან პიმენ მოძღუარმან... დალოცა ფანასკერტელსა ამილბარს და მისსა მეუღლეყოფილსა რიფსიმეს**

და მათსა შვილსა ზაქარიას, შეუნდვენ ღმერთმან“ (მეტრეველი, 1962: 92). გერგეტის მათიანის მოსახსენებლიდან: „უფალო, დაიცევ ორსავე შინა ცხოვრებასა „არაგვის ერისთავი ვამიყ, თანამეცხედრე მათი მარიამ, ძე მისი მამუკა, თანამეცხედრე მისი მარიამ...“ (შარაშიძე, 1954: 269).

მოტანილი ტექსტებიდან ცხადია, პირველი, ზაქარია ამილამბარისა და რიფსიმეს შვილია, მაგრამ რიფსიმე (მონაზონი) დედა საკუთარ შვილზე აღაპში წერს : „მათისა (ე.ი. ამილამბარისა) შვილისა“. მეორე შემთხვევაში, მამუკა, რომელიც იყო ვამიყისა და მარიამის ძე, წერია „ძე მისი“ და ა.შ. აქედან გამომდინარე აბუსერისძე ტბელის ფრაზა „მისთა შვილთაცა“ გარკვეულ სტერეოტიპად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ერთი უცილობელი პირობით, რომ მისი დამწერი უეჭველად აღკვეცილია ბერად და გაცილებულია ოჯახს (ტბელ აბუსერისძე, 1998:81).

აბუსერისძე ტბელი სასულიერო პირია (და დამონმებული გამოთქმა მისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო) ეს სხვა მონაცემებითაც მტკიცდება. უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ მის მიერვე შედგენილი ხელნაწერი კრებული, რომელიც ლიტურგიკული შინაარსის ძეგლია. მასში ძირითადად შეტანილია ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული თხზულებები. ძნელი წარმოსადგენია ერის კაცი, არა სასულიერო პირი ასეთი გატაცებით და ბეჯითად ეძებდეს და ადგენდეს ეკლესიისათვის საჭირო მასალას, წერდეს, საგანგებოდ აწესებდეს ხელთუქმნელი ხატის დღესასწაულს, ინიციატორი იყოს საეკლესიო კალენდრის რეფორმისა და ა.შ. ეს და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები მიგვანიშნებს მის სასულიერო წოდებაზე, ბერობაზე (ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ვკითხულობთ : „შვილი მისი იოანე შეეწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაი მისი“ ფრაზაში აშკარად იგრძნობა სასულიერო პირის დამოკიდებულება ერისკაცისადმი (იქვე, 62).

ივანე ერისთავთ-ერისთავს და ხათუთა დიოფალთ-დიოფალს 6 შვილი ჰყოლიათ, სამწუხაროდ, მწერალი მათ უფროს უმცროსობის რიგით არ გვისახელებს. ამის გამო მკვლევარები თავიანთ შეხედულებების მიხედვით მიუთითებენ მათ შთამომავლობას ტაბულაში. მ. ბროსე ასეთი რიგით ასახელებს: აბუსერ, ვარდან, ტბელი, ვანენი, საგდუხტი, ცაცა (Brosset, 1968:22). თ. ჟორდანიას კი ასე: ტბელი, აბუსერი, ვარდან, ვანენი, საგდუხტი, ცაცა (ჟორდანიას, 1892:123). ხოლო ლ. მუსხელიშვილი: აბუსერი, ვარდან, საგდუხტი, ცაცა, ტბელი, ვანენი. (მისი, აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე). ი. სიხარულიძე იზიარებს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, ტბელის თხზულებაში დაცულ (ზოგიერთ საამისოდ) საინტერესო გამონათქვამს:

1. ტბელი რომ ამბობს: ხიხათა ეკლესიის აშენებას ძმების „ბრძანებით“ შევეუდექიო;
2. ძმას, აბუსერს, „პატრონად“ მოიხსენიებს;
3. „პატრონადვე ჰყავს მოხსენიებული დები საგდუხტი და ცაცა;

ყოველივე ეს, მისი აზრით, „იმას უნდა ნიშნავდეს, რომ აბუსერისძე ტბელი უმცროსი ძმაა, რომელიც ემორჩილება უფროსი ძმების ბრძანებებს და შესაფერისი პატივისცემით იხსენიებს მათ. მისი დებიც, ყოველ შემთხვევაში, საგდუხტი და ცაცა, რომელთაც ის აგრეთვე „პატრონებად“ იხსენიებს (168), მასზე უფროსნი უნდა იყვნენ“ (სიხარულიძე, 1963:25).

საორჯოფოა საკითხი, როდის უნდა დაბადებულიყო წმიდა ტბელ აბუსერისძე?

სამწუხაროდ, არც საამისო ცნობა მოგვეპოვება და არც რამდენამდმე ხელშესახები არაპირდაპირი ცნობები შემონახულა. საერთო ვითარების გათვალისწინებით ჩვენი მწერლის თაობის ცხოვრების ჩარჩოებად ლ. მუსხელიშვილი 1190-1240 წლებს ვარაუდობს (მუსხელიშვილი, 1941:22).

აბუსერისძე ტბელის გარდაცვალების თარიღი ცნობილი არ არის. აბუსერისძე ტბელის ალაპი მოგვიანებით - XVI საუკუნეში მიუწერიათ XI საუკუნის ხელნაწერზე, ე.წ. კლარჯულ სვინქსარზე (A-97): (სიხარულიძე, 1997: 5.). „ამას დღესა ალაპი ტბელისა აბუსერისძესაი. ამის შემცვალებელიცა კრულია პეტრე მოციქულისა მაღლითა“ (323 r). მინაწერი გაკეთებულია მარხვანის ნაწილში მე-6 კვირიაკის დასაწყისს. ეს ალაპი რაიმე კონკრეტულ მინიშნებებს გარდაცვალების თარიღზე არ იძლევა, რადგანაც ძალიან გვიანდელია. ერთი კი მაინც უნდა ითქვას რომ ალაპის დამდები რალაციით მაინც უნდა იყოს დაკავშირებული აბუსერისძეთა ყოფილ დიდ ოჯახთან. ამას მოწმობს მეორე ალაპიც ამავე ხელნაწერიდან . ეს ალაპიც გვიანდელია, ალბათ XVI-XVII საუკუნეების. „სულსა აბუსერისძესა ბეჟანას შეუნდენ ღმერთმან. და მისსა მეულღესა მზექალს შეუნდენ ღმერთმან“ (183r) აბუსერისძე ტბელი მოსახსენებელში“ ვრცლად საუბრობს თავისი დიდი ოჯახის წარმომადგენლებზე. ამ ცნობის მიხედვით, ჯერ კიდევ მარი ბროსემ შეადგინა აბუსერისძეთა გენეალოგიური ხე. შემდეგ იგივე საქმე გააკეთეს თ. ჟორდანიამ, ლ. მუსხელიშვილმა და სხვებმა (ტბელ აბუსერისძე, 1998: 82).

აბუსერისძე ტბელი „მოსახსენებელში“ პაპის პაპიდან მოყოლებული თითქმის ყველა ახლობელს ასახელებს. ძმებს-- აბუსერსა და ვარდანს, დებს-- საგდუხტი, ცაცა, ვანენი; ძმისწულებს-- გრიგოლი, ნათელი, ხათუნი, ვანენი; მამიდებს-- ფოტინე, საგდუხტი; პაპას--აბუსერის; პაპის ძმას--სანანო ახოანი; პაპის დებს-- ცუარი, აგუტი; პაპის მშობლებს-- ხუშაი, გრიგოლი; პაპის პაპის დას ნოსიმეს; ბიძას -- გრიგოლს; ბებერს -- ბალიანდის, შვილებს-- რუსუდანი, ზაქარია, ივანე, ონოფრე, აღსართან. ზოგჯერ ასახელებს მეულღეებსაც. აბუსერის (ძმის) მეულღეები-- თამარი, ვახახი; ვარდანის (ძმის)-- ნაზი. ყველას შესახებ წერს თბილად და მოკძალებით (იქვე, 82).

პირველი, ავტორი თვითონვე მიუთითებს, რომ ეპიზოდი, რომელშიც წინაპრებზეა საუბარი, ადრე უნდა დაწერილიყო -- „ესე უწინარეს ჯერი იყო“. ყველა შემთხვევაში, როდესაც აბუსერისძე ტბელი „მოსახსენებელში“ ასახელებს ცოლ-ქმარს (არა აქვს მნიშვნელობა ცოცხალთ თუ გარდაცვლილთ) ჯერ ახსენებს კაცს (ქმარს) და შემდეგ ქალს (ცოლს). არის ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც პაპის -- აბუსერის მშობლებზე ლაპარაკობს, პირველად ასახელებს ცოლს (ქალს) და შემდეგ ქმარს (კაცს). „სულსა პატრონისა ხუაშაისსა ერისთავთ-ერისთავით მისი ქმრით - გრიგოლითურთ, რომელნი იყვნენ მშობელნი აბუსერისნი“. ეს უბრალო გადაადგილებაა სახელების რაც ჩვენი დიპლომატიკური მასალების მიხედვით გამორიცხულია თუ შეგნებული ფიქსაციაა მიმანიშნებელი რაღაც სინამდვილისა. ერისთავთ-ერისთავი რომ კაცს ეხება და ეს კაცი ქმრადაა დასახელებული, ამაში ეჭვი არ არის. ჩვენთვის ისიც აუხსნელია, რომ ქალი დიოფალთ-დიოფალის ტიტულით არ მოიხსენიება (შეადარე ერისთავთ-ერისთავი ივანე და დიოფალ-დიოფალი ხათუნა, ერისთავთ ერისთავი აბუსერი და დიოფალთ-დიოფალი ვახახი, ვარდანი---ძმა, რომელიც სხვაგან იწოდება ერისთავთ-ერისთავად, მეუღლე იწოდება „დიოფალ- დიოფალსა ნაზი (იქვე, 82).

მეორე, ვფიქრობთ ანალოგიასთან უნდა გვექონდეს საქმე მეორე შემთხვევაშიც. როდესაც პაპის -- აბუსერის და მისი ძმის -- სანანოს დებს ჩამოთვლის, ავტორი წერს: „პატრონთა დათა მათთა ცუარისა და აგუსტინი, რომელთა სულნი ეგრეთვე მოხსენებითა დიდებულ ყოს ღმერთმან; პატრონით ერისთავთ-ერისთავით ბიძაით ჩუენით გრიგოლითურთ“. ბიძა სახელის გარეშე სხვა ადილასაც არის მოხსენიებული. ეკლესიის აშენებისთვისო „ვერც მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩვენმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე“. ვინ არის ეს „მათ“, რომლებმაც მშენებლობისათვის ვერ მოიცალეს? მოსახსენებლის ამ ციტატის ზემოთ აბუსერისძე ტბელი აცხადებს, რომ მან ძმების -- აბუსერისა და ვარდანის იძულებით იწყო შენებად ეკლესიისა

„სახსენებლად პაპისა ჩუენისა აბუსერისა და ძმისა მისისა სანანოსთვის, [რომელთა] წაიხუნეს ხიხანი, მტერთაზედა გაცემულნი“. ვფიქრობთ ავტორი წინა აბზაცში იმავე პირებს გულისხმობს, რომელთაც ქვემოთ ასახელებს. აქ ასახელებს ბიძას სახელის გარეშე, რომელიც ზემო მონაკვეთში არ ფიგურირებს. მაშასადამე, ბიძა დასახელებულია ორჯერ, ერთხელ სახელის გარეშე, მეორედ პაპისა და პაპისდების კონტექსტში. ლ. მუსხელიშვილს მიაჩნია და თავის გენეალოგიურ ტაბულაშიც შეტანილი აქვს (მუსხელიშვილი, 1941:24) რომ ბიძა გრიგოლი უნდა იყოს ივანეს ძმა. მარი ბროსეც დაახლოებით ამას ფიქრობს (Brosset,1868: 22) მაგრამ ტაბულის ძირითად ნუსხაში არ შეჰყავს, გვერდით უწერს. თ. უორდანიაც ივანეს ძმად მიიჩნევს (უორდანია, 1892: 122-123). ამ აზრს ეთანხმება ი. სიხარულიძეც (სიხარულიძე, 1981:70).

ციტირებულ სტრიქონებში ბიძა გრიგოლი გვხდება ფორმით გრიგოლითურთ, არა დამოკიდებულად, არამედ სხვასთან მიმართებაში (აბუსერისძე ტბელი, 1998:84).

მესამე, „მოსახსენებელში“ არის ასეთი ფრაზა: „და ბებერსა ჩუენსა ბალიანდის მოიხსენებდით“. ეს მოსახსენებელი მოსდევს ზემოთ დასახელებულ გრიგოლის მოსახსენებელს. ბალიანდი პატრონია, ბებერაა. სხვა რაიმე განმსაზღვრელი მისი პიროვნების დასადგენად ტექსტში არაა. ვფიქრობთ, მართალნი უნდა იყვნენ წინა მკვლევარნი, რომ იგი აბუსერის ცოლი უნდა იყოს (იქვე, 84).

მნიშვნელოვან ინფორმაციის შემცველი მისი თითოეული მოსახსენიენელი. „ბებერა დიდდის“ მნიშვნელობით წყაროებში თვით XV საუკუნეშიც ჩვეულებრივ გვხდება. ქრ. შარაშიძემ A-1737 ხელნაწერის მიხედვით გამოაქვეყნა ყვარყვარე ათაბაგის (1416-1498) სახლის წევრთა მოსახსენებლები. ყვარყვარეს შვილიშვილი ქეთეონი (მეფეთ-მეფე გიორგის ასული) წერს ლოცვას, რომელშიც ჩართულია მოსახსენებლებიც. ლოცვაში ვკითხულობთ:


„უფალო,....მოიხსენენ სახიერებით და წყალობით მონანი შენნი, პირველდაძინებულნი მართლმადიდებელნი: პაპი ჩემი პატრონი ყუარყუარე და ბებერა ჩემი პატრონი დედისიმედი...“ (იქვე, 84).

მეორე ადგილას: „მეოხ ეყავ... პატრონსა პაპსა ჩემსა ყუარყუარეს და ბებერა ჩემსა პატრონსა დედისიმედსა...“ (საქართველოს ისტორიის მასალები, 1957: 259-260) მაშასადამე, ამ მონაცემით ქეთონი საგანგებოდ აფიქსირებს, რომ დიდება იწოდებოდა ბებრად. ბალიანდის აბუსერისძე ტბელი ბებერს იმიტომ კი არ უწოდებს, რომ იგი 1233 წელს ცოცხალი იყო და, მაშასადამე, ხანდაზმული ბებერი (მუსხელიშვილი, 1941:22) არამედ იმიტომ, რომ ბებერა სინონიმა დიდების. აქედან გამომდინარე არ არის აუცილებელი ბილიანდი 1233 წელს ცოცხლად ვივარაუდოთ (აბუსერისძე ტბელი, 1998: 84-85). ამ მხრივაც საინტერესოა სიტყვის, ლექსიკური ერთეულის ამ ფორმით გამარტება.

მეოთხე, მოსახსენებელში ნათქვამია „დიოთალოთ-დიოთალისა ნისიმესი, პაპისა ჩუენისა პაპის დაი“. რაიმე განსაკუთრებულ დამსახურებაზე ავტორი არ მიგვანიშნებს. ამიტომ ერთობ მოულოდნელია მეოთხე თაობის წამომადგენელმა თავისი დიდი წინაპრის სახელი მოიხსენიოს, მაშინ როდესაც პაპის პაპის სახელს არ ასახელებს. არ არის გამორიცხული, რომ აქ მექანიკურ შეცდომასთან გვექონდეს საქმე და იგულისხმებოდეს მხოლოდ პაპის დაი და არა შორეული წინაპარი. ჩვენ არაფერს არ ვამტკიცებთ, მხოლოდ ეჭვს გამოვთქვამთ. აბუსერისძე ტბელის „მოსახსენებლის“ მიხედვით ვიძლევიტ ტაბულის შემდეგ ვარიანტს, რომელიც ამდენ ხანს არსებულ გენეალოგიასთან შედარებით გარკვეულ კორექტივებს შეიცავს (აბუსერისძე ტბელი, 1998:84). თუმცა შესაძლოა, სამომავლო, არქეოლოგიურმა კვლევებმა ცხადყოს ყოველივე.

ჩვენამდე მკვლევართა, მიერ შედგენილი, მოღწეული, გენიალოგია ასეთია:





(მუსხელიშვილი, 1941:22) ი. სიხარულიძე იზიარებს ლ. მუსხელიშვილის მოსაზრებას, რომ ბალიანდი 1233 წ. ცოცხალია (სიხარულიძე, 1963 :20).

მეხუთე, მოსახსენებელში, როდესაც ერთი წყება მოსახსენებელი ჩამოთვალა, გააკეთა ლოგიკური დასკვნაც: „და წამკითხველნი ამისნი გუახსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისამებრ“. ჩაურთო ფრაზა: „ესე ძლისპირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალ ვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიხმარებ და დასაგულებლად განაღამცა“. ამ სტრიქონების შემდეგ ხელნაწერში წაშლილია 22 სტრიქონი და მოდის კვლავ მოსახსენებლის ტექსტი: ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაი წააგო“. ანდერძის ბეჭითად ჩაკვირვების შემდეგ თვალშისაცემია, რომ ტექსტი „ესე ძლისპირიდან“ მოკიდებული ვიდრე საკუთარი შვილების მოხსენიებით არალოგიკურად ზის ტექსტში (მუსხელიშვილი, 1941:2). რადგანაც ამას მოჰყვება თუ რა შესწირა ახლად აგებულ ეკლესიას მისმა ძმამ აბუსერიმ, მისი ვაჟის გრიგოლის და აბუსერის მეუღლეების თამარისა და ვახახის სულის მოსახსენებელი. ამ უხერხულობას თვით ავტორიც გრძნობს და შენიშნავს: „და ესე უწინარეს ჯერ იყო“ და იწყებს დიდი წინაპრების კვლავ ხსენებას (აბუსერისძე ტბელი, 1998: 86).

„მოსახსენებელში“ თავის თავს ავტორი უწოდებს აბუსერისძე ტბელს: „ესე და სხუაი მრავალი დავიღუმნე... მე არალირსი და შეურაცხი... აბუსერისძე ტბელი, ძე ერისთავთ ერისთავისა ივანესი და დიოფალთ დიოფალისა ხათუთაისი“. სხვაგან ის თავის სახელს არ ახსენებს. სხვა შემთხვევაში იგი თავის თავზე მოკრძალებულ ეპითეტებს იყენებს (იქვე, 86). მსგავსი ფორმით სახელისა და გვარის ჩანერა თავად მოსახსენებელში (თხზულებაში) XI-XII სს. მწერლობაში ერთგვარ ტენდენციას წარმოადგენდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ავტორი სარწმუნოებრივი თავმდაბლობით თავის თავს „არალირსი და

შეურაცხი...“ უწოდებს, რაც ერთხელ კიდევ მიუთითებს რომ ის არა საერო, არამედ სასულიერო პირია.

როგორ უნდა გავიგოთ აბუსერისძე ტბელი. ეჭვი არ არის, რომ აბუსერისძე ნიშნავს გვარს (მოსახსენებლიდან“ ვიცით, რომ იგი ივანეს ვაჟია). არც ერთ სხვა შემთხვევაში იგი გვარსა და სახელს არ მიუთითებს, არც წინაპრებთან და არც მემკვიდრეებთან. დღეს გავრცელებული აზრით, ტბელი არის საკუთარი სახელი. კ. კეკელიძის აზრით, „ ტბელი გვაფიქრებინებს, რომ ის იყო მტბევარი ან ტბეთის ეპისკოპოსი (კეკელიძე, 1951: 310). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ლ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 1941:25) ი. სიხარულიძე დაბეჭითებით ამტკიცებს რომ ტბელი არის საერო სახელი და რომ აბუსერისძე ტბელი ერისკაცია. იგი ერთგვარად ეყრდნობა მარი ბროსეს, ნ. ბერძენიშვილს და მოაქვს თავისი არგუმენტებიც. მისი დასკვნით „ჩვენი მწერლის სახელი, მაშასადამე „ტბელია“ (სიხარულიძე,1963 :35).

ყურადსაღებია, სახელთან დაკავშირებული მოსაზრებები, ტბელი-ტბელა მოგვიანებით საკუთარ სახელადაც გვხვდება. XI საუკუნის სვინქსარზე XVI საუკუნეში გაუკეთებიათ მინაწერი - ალაპი: „ამას დღესა ალაპი ტბელისა აბუსერისძისა“(A-97, 32v), რომელშიც ტბელი სახელად არის დაფიქსირებული.

ისტორიული წყაროებიდან, კვლევებიდან გამომდინარე ჩანს, რომ A-85 ხელნაწერის შემდგენელი სასულიერო პირი უნდა იყოს. მისი დამოკიდებულება მასალასთან, ტექსტთან დაკავშირებული ლიტურგიკული კომენტარები საგულისხმოს ხდის ის, რომ ავტორი, მართლაც სასულიერო პირია. თვითონაც ხაზგასმით წერს: „ესე ძლისპირნი და სტრიქონნი მე დავსხენ... და ვირე ცოცხალი ვარ, ოდესცა მინდა მე მოვიხმარებ“. ცხადია, ძლისპირნი და სტიქარონნი ჭირდებოდა მხოლოდ სასულიერო პირს (აბუსერისძე ტბელი, 1998:87).

ამრიგად, გელათში ტბელ აბუსერისძის მოღვაწეობას გვიდასტურებს K-22 ხელნაწერიც, რომელიც შედგენილობით ენათესავება A-85 კრებულს, უპირველეს

ყოფლისა იმით, რომ იწყება ტბელ აბუსერისძის საგალობლით («გალობანი სამთა იოვანეთანი»). ამ ორ ხელნაწერს შორის საერთოა სხვა მასალაც, კერძოდ, იოანე პეტრინის, არსენ ბულმაისიმისძის, იოანე შავთელისა და დავით აღმაშენებლის საგალობლები.

სავარაუდოდ, ტბელ აბუსერისძე უნდა გარდაცვლილიყო 1250 წელს. მისი სამუდამო განსასვენებელი ხიხათა საერისთავო უნდა გამხდარიყო, კერძოდ, თხილვანის იოანე მახარებლის ეკლესია.

«კლარჯული სვინაქსარში», დიდმარხვის მეექვსე (ბზობის) კვირის დასაწყისში შეტანილია ტბელ აბუსერისძის ალაპი (XVI ს.): «ამას დღესა ალაპი ტბელისა აბუსერისძისად. ამისი შემცვალელებელიცა კრულია პეტრე მოციქულისა მადლითა».

2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ტბელ აბუსერისძე წმინდანად შერაცხა. ხსენება «ღირსისა მამისა ტბელ გამომეტყველისა (აბუსერისძისა)» დაწესდა 30 აგვისტოს (ძვ. სტილით 17 აგვისტოს). 2006 წლიდან სხალთის ხეობაში (ხიხანი, სხალთა, თხილვანა, ვერნები) აღინიშნება ტბელ აბუსერისძის ხსენების დღისადმი მიძღვნილი საეკლესიო დღესასწაული - ტბელობა.

ამრიგად, სხვადასხვა კვლევების დასკვნებიდან გამომდინარე ტბელ აბუსერისძე ყოფილა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ერისა და ქვეყნის წინაშე.

თავი II. წმიდა გიორგისთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის ქართულ მწერლობაში

ყოველი ერი გასაკუთრებულ პატივს მიაგებს რომელიმე წმიდანს, ყოველ ერს ჰყავს თავისი განსაკუთრებული ზეციური მფარველი, რომელიც ლოცულობს ერისთვის და ითარავს განსაცდელთაგან. წმიდა გიორგი არის საქართველოს განსაკუთრებული მფარველი. ისტორიიდან ცნობილია, რომ წმიდა გიორგი ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში 23.04.2019(<http://www.orthodixy.ge/dgesaswaulebi/giorgoba.htm>).

საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან, ჩვენთან ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. „არა არიან ბორცვნი და მალაღნი გორაკნი, რომელსა ზედა არა იყოს შუქნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“, - წერს ვახუშტი ბატონიშვილი (იქვე)

ოღითგანვე საქართველოს მეფეების, ბაგრატიონების გერბზე წმიდა გიორგი გამოსახულია, როგორც გველეშაპის შემმუსვრელი. წინათ დიდმოწამის ხატი ქართული ლაშქრის დროშებზე აბრეშუმით იყო ამოქარგული. ბრძოლის დროს რუსთავის ეპისკოპოსს დროშა ეჭირა, მღვდლებს კი - ხატები. არცთუ იშვიათად წმიდა გიორგის გამოსახულება მეომართა ფარებზე იყო ამოტვიფრული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან და საქართველოში არსებული წმიდა გიორგის 365 ნაწილთან არის დაკავშირებული. 10(23) ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა,

განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმონაშის სიყვარული 25.04.2019(<http://www.orthodixy.ge/dgesaswaulebi/giorgoba.htm>. 1).

წმიდა გიორგის ტროპარ-კოდაკებში დაცულია ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „მეფე უგუნური (დიოკლეტიანე) ესწრაფოდა სიკვდილსა შენსა“, - ვკითხულობთ წმიდა გიორგის დაუჯდომელ ლოცვაში, - „ჭირთა დამთმენელო გიორგი, და ვითარცა მგელსა მშიერსა, სწყუროდა სისხლი შენი, ამისთვისცა ბრძანა ურმის თვალსა ზედა წამებად და საშინელთა სატანჯველთა მიცემად შენი, ხოლო შენ, უფლისა მიერ ყოველივეს დამთმენელი, სასოებით მტკიცედ ჳმობდი ღმერთსა, ალილუია“ (იქვე, 2).

ქართველებისთვის განსაკუთრებულია ამ წმინდნისადმი დამოკიდებულება. წმიდა გიორგი ითვლება მხედართა, მიწისმოქმედთა, მწყემსთა, მოგზაურთა მფარველად. მას ევედრებიან აგრეთვე დემონური ძალებისაგან დახსნისათვის. ღმრთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისათვის ჩაბარდა წმიდა გიორგის, ამიტომაც წმიდა გიორგის დაუჯდომლის იკოსს დაემატა მუხლი: „გიხაროდენ უძლეველო წინამბრძოლო ქართველთა ერისა და მფარველო ჩვენი ეკლესიისაო“ (იქვე, 2).

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, გიორგობის ბრწყინვალე ღღესასწაულზე ქადაგებებში ბრძანებდა: „წმიდა გიორგი არის სიმბოლო გამარჯვებისა, საქართველოს ძლევაშისილი გამარჯვებისა. აი, ჩვენს წინაშე არის ორი პიროვნება - წმიდა გიორგი და იმპერატორი დიოკლეტიანე, სიმბოლო სიკეთისა და ბოროტებისა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის ყოველთვის იყო და იქნება, ვიდრე დედამიწა იარსებებს. ამიტომ ერთადერთი ძალა, რომელიც ადამიანს, ერს, ქვეყანას ამ ბრძოლის დროს შეეწევა, ღვთის ძალა და მადლია. თქვენ გახსოვთ, წმიდა გიორგი სისხლით რომ იცლებოდა, მოესმა ხმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ“. ღღეს ჩვენც გვესმის, სრულიად საქართველოს ესმის ეს ხმა უფლისა: „საქართველო, ნუ გეშინინ, მე შენთანა ვარ!“ ჩვენთან არს ღმერთი და ვერავითარი მტერი ვერ სძლევეს საქართველოს, რადგან ჩვენი მფარველი არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი დედა - განგებითა ღვთისათა პატრონი

საქართველოსი, დიდი დიასახლისი ჩვენი ქვეყნისა. ჩვენი მფარველნი არიან წმიდა ნინო, წმიდა გიორგი, წმიდა ნიკოლოზი და მრავალი ის წმიდანი, მონაშენი, ღირსი მამა, მღვდელმთავარი, რომელიც ადიდებდა ღმერთს და თავისი ცხოვრებით მოიხვეჭა მაღლი უფლისა. და აი, ამ წმიდათა მონაშენთა და ღირსთა მამათა, მღვდელმთავართა და ყოველთა წმიდათა ლოცვით, ვერავითარი მტერი ვერ სძლევს საქართველოს“ (უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქი ილია II, გიორგობა, 2002 წ.).

წმინდა გიორგის ანუ გიორგი კაბადოკიელის პოპულარობა უსაზღვროა, არა მარტო მართმადიდებლურ არამედ, ქრისტიანული ეკლესიის ყველა მიმართულებაში: კათოლიკურში, პროტესტანტულში, სომხურ-გრიგორიანულში, მომოფიზიტურში და ა.შ. უფრო მეტიც: წმინდა გიორგის სიკვდილი და აღდგომა იხსენიება, როგორც მისი კულტის შემსწავლელი მეცნიერები ამბობენ, მაჰმადიანთა წმინდა წიგნის, ყურანის, კომენტარებშიც. მუსულმანურ წყაროებში არის სხვა თქმულებებიც გიორგის შესახებ, რომლებიც სავარაუდოდ სირიულიდან შევიდა (გაბიძაშვილი, 1991: 4).

უამრავია მისი წამების ლიტერატურულად დამუშავებული თხზულებები ქრისტიანი ხალხების ყველა ენაზე. უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიაში ბერძნულ ენაზე რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი შექმნილასხვადასხვა დროს, რომლებიც მერე საფუძველი გახდა მათი სხვა ენებზე გავრცელებისა, რა თქმა უნდა, თარგმანის გზით. წმინდა გიორგის შესახებ ლიტერატურა არ ამოიწურება ოფიციალური საეკლესიო პროზის სახით შექმნილი თხზულებებით. ძალზე გავრცელებულია მის სახელზე დაწერილი საეკლესიო საგალობლები, რომელთა რიცხვი ბერძნულ ენაზე მარტი ცამეტია(ლ. კვირიკაშვილი). ასევე დიდია ეკლესიის მამების მიერ მისდამი მიძღვნილი ჰომილიების ანუ შესხმა-ქადაგებების რიცხვი, რომლებიც წმ. გიორგის ხსენების დღეს, 23 აპრილს, წარმოითქმოდა ქრისტიანული სამყაროს ყველა ხალხის ეკლესიების კათედრებიდან. მაგრამ არც კანონიკური ქრისტიანული ლიტერატურით არ ამოიწურება გიორგისადმი მიძღვნილი თხზულებათა რიცხვი. ქრისტიანი ხალხების ყველა ენაზე შექმნილია ხალხური ლექსები, პოემები, ლეგენდები და ა. შ. მაგ., ცნობილია რამდენიმე

ფრანგული პოემა (გამოცემულია ერთი, ცარნკეს მიერ), რომლებიც ფრანგულადვე არსებულ პროზაულ თხზულებებს ეყრდნობა, შემონახულია გერმანული სიმღერა, რომელიც ემყარება ზეპირ თქმულებებს და ჩანერილია X საუკუნეში; არსებობს XI ს. თხზულებად მიჩნეული ინგლისური პოემა(გადმოცემული მარტვიკის მიერ), ასევე ძველი ინგლისური რითმიანი პოემა(გამოც. გელინის მიერ); XIII საუკუნეში; ასევე შეიქმნა უზარმაზარი პოემა გერმანულ ენაზე, რომელიც 6000 სტროფს შეიცავს (ავტორი რეინ-ბომ ფონ დორნი, გამოსცეს გაგენმა და ბიუშინგმა) და სხვა მრავალი (იქვე, 5)

საქართველოში უამრავი ტაძარია აშენებული წმინდა გიორგის სახელზე. ხალხში გავრცელებულია მოსაზრება, რომ საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე 365 ტაძარია აშენებული წლის დღეების შესაბამისად. ფაქტია, როგორც ამას ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „თითქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმინდა გიორგის სახელზეა“ (ჯავახიშვილი, 1979:43).

როგორც აღვნიშნეთ, უამრავია წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესიები, რომლებშიც ყოველწლიურად ტარდებოდა მისი ხსენების დღეს, 23 აპრილს და სხვა დღეებშიც საეკლესიო და სახალხო დღესასწაულები: ხევსურეთში ხახმატის ჯვარი, გუდანის ჯვარი და სამების ჯვარი - ყველა წმინდა გიორგის სალოცავებად ითვლება.. აღმოსავლეთ საქართველოში განთქმული ხატი კახეთისა - თეთრი გიორგი სოფ. აწყურისა და ალავერდშიც გიორგის სახელობისაა, ფშავში ლაშარის ჯვარი, მთიულეთში - ლომისის ჯვარი და სხვა. საერთოდ, ქართულ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულთა უმრავლესობა წმ. გიორგის სახელს უკავშირდება: გერისთობა, გიორგისჯვარობა, უსანეთობა, არბობა, თეთრი-გიორგობა და საყოველთაოდ გავრცელებული - გიორგობა. მართალია, წმინდა გიორგის საეკლესიო მართმადიდებლური კულტისაგან სერიოზულად სხვაობს ხალხურ თქმულებებში წარმოჩინებული გიორგის სახე, მაგრამ ეს ფაქტიც საქართველოში გიორგის კულტის უსაზღვრო თაყვანისცემის შედეგია (გაბიძაშვილი, 1991:6).

საინტერესოა ბესარიონ კათალიკოსის (ორბელიშვილის) მოწმობა, რომ ქართველთა სპარსელებთან ომის დროს ქართველი ქრისტიანი ჯარის წინ ჰაერში იხილვებოდა თეთრ ბედაურზე ამხედრებული ლამაზი ჭაბუკი, რომელიც მუსრს ავლებდა ქართველების, ე.ი. ქრისტიანების მტრებს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ეს იყო ძლევამოსილი წმინდა გიორგი (იქვე, 7).

წმ. გიორგისადმი თაყვანისცემა ასახულია ქართულ წერილობით წყაროებში და ზეპირსიტყვიერებაში, სადაც ბიზანტიური წყაროებიდან მომდინარე მისი სასწაულები შეცვლილია ადგილობრივი სასწაულებით, ქართულად არის გადაკეთებული დედნის ტოპონიმები, ადამიანთა ქართული სახელები ცვლიან დედნისეულ ონომასტიკას, გადმოცემულია ადგილობრივი ყოფა (აბუსერიძე ტბელი). წმინდა გიორგის აღიღებენ როგორც წმინდანს, რომელმაც ღვთისგან მიიღო უფლება, რომ შეასრულოს 365 სასწაული. მისიონერთა და მოგზაურთა მოწმობითა და გადმოცემით (ა. სუხანოვი, ს. ბელოკუროვი, შარდენი, არქანჯელო ლამბერტი) წმინდა გიორგის ყოველ წელს, 10 ნოემბერს სასწაულებრივად მოჰყავდა სამსხვერპლო ხარი თავისი სახელობის ილორის ტაძარში (ოჩამჩირის რაიონი). ხარს შემდეგ კლავდნენ და უმასპინძლდებოდნენ მრევლს. ეს უძველესი წარმოდგენა თვითშენიშნულ ცხოველებზე შუა საუკუნეებში დაუკავშირეს წმინდა გიორგის და გაგრძელებულა 1853 წლამდე, როდესაც გიორგის უკანასკნელად ჩაუდენია ილორში ეს საწაული (ი. სურგულაძე). (იქვე, 9)

ხარკი გაუღია წმინდა გიორგის წინაშე ვაჟა ფშაველასაც, რომელსაც გაუღიქსავს ფშავეზში გავრცელებული ერთი ლეგენდა, თუ როგორ დაუბრუნა ქვრის ლეკების მიერ დატყვევებული შვილი წმინდა გიორგიმ, ანუ თეთრმა გიორგიმ, როგორც მას აქ უწოდებენ. ეს ლეგენდა დაიბედა ივერიაში (1893 წ. #7) და ხელმოწერილია ვაჟა-ფშაველას ხელით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში წმ. გიორგის ფრესკული გამოსახულებანი უფრო ადრეულია, ვიდრე გიორგის „წამების“ ლიტერატურული ძეგლები. ფიქრობენ, რომ წმ. გიორგის უძველესი გამოსახულება დაცულია წებელდის (გულრიფშის რაიონი) კანკელის ფილაზე - გამოსახული ორი

მხედრიდან ერთი წმინდა გიორგია, რომელიც შუბით კლავს გვირგვინოსანს (ე.ი. ბიზანტიის იმპერატორ დიოკლიტიანეს). ასეთივე გამოსახულება მოღწეულია მარტვილიდანაც. აღსანიშნავია რომ ცნობილი და გავრცელებული თქმულება, ანუ სასწაული გიორგის მიერ ვეშაპის მოკვლისა აღრინდელი ქართული ეკლესიების მოხატულობაში არ გვხვდება. ისინი უფრო გვიანდელია, ვიდრე გიორგის მიერ გვირგვინოსანის ე.ი. დიოკლიტიანეს, მოკვლის ეპიზოდები ცალკეული ეკლესიების კედლის მხატვრობაში. აქედან ცხადია, რომ კედლის მხატვრობაში წარმოდგენილი წმ. გიორგის თაყვანისცემას, რომელიც წინ უსწრებს ლიტერატურული გზით შემოსულ გიორგის თაყვანისცემას საქართველოში, ბერძნულ-ბიზანტიური ეთნიკური გარემოდანაა შემოტანილი. მისი გავრცელება VI საუკუნის მომდევნო პერიოდს ეკუთვნის, რადგან გიორგის წამება დიოკლიტიანეს სახელს მხოლოდ V-VI სს-დან დაუკავშირდა. გიორგის თაყვანისცემის გაძლიერება დაიწყო IX საუკუნიდან, როცა გიორგის წამების ბიზანტიური თხზულება თარგმნეს ქართულად. ამ დროიდან გიორგის სახელი მკვიდრდება ქართველ მეფეთა სახელების სიებში (ი. სურგულაძე). წმ. გიორგის სახელთან დაკავშირებული ეკლესიის კედლის მხატვრობაში წარმოდგენილი ეპიზოდები მდიდრდება ლიტერატურული წყაროების ზეგავლენით, მაგრამ გვხვდება ისეთი ეპიზოდებიც, რომლებიც გიორგის „წამების“ მიხედვით ცნობილი არ არის (იქვე, 9)

რაც შეეხება წმინდა გიორგის „წამების“ სხვადასხვა ეპიზოდების ფერწერულ გამოსახულებებს საქართველოს ეკლესია ტაძრების კედლებზე, ისინი მრავლად გვხვდება ძირითადად იმ მოხატულ ეკლესიებში, რომლებიც წმ. გიორგის სახელზე არიან აგებულნი. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია თავისი მნიშვნელობით და შესრულების ინდივიდუალობით ტბეთის, საფარის, ზარზმის, უბისის, აღიშის, აჭის, ნაკიფარის, ვანის, იკვის, ბორჯომის, და ფავნისის ეკლესიები (პრივალოვა, 1977. გაბიძაშვილის ნაშრომიდან 1991:11)

წმინდა გიორგი ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაში

წმინდა გიორგისადმი პატივისცემა წარმოიშვა მცირე აზიის კაბადუკიაში, როგორც თეოქრობენ საუკუნეში. მას თავიდან ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა და ბიზანტიის ფარგლებში მისი გავრცელება V საუკუნიდან დაიწყო, ხოლო VI საუკუნიდან სრული აღიარება მოიპოვა. უძველეს კალენდრებში მისი ხსენება არ ჩანს. არაფერს ამბობს მის შესახებ კონსტანტინე დიდის ისტორიკოსი ევსები კესარიელიც, თუმცა ზოგიერთები თვლიან, რომ მისი ისტორიის VIII წიგნის მე-5 თავში მოხსენიებული მონამე, რომელიც ნიკომიდიაში ქრისტიანთა დევნის შესახებ გამოქვეყნებული ედიქტი (ბრძანება) ჩამოხია და რისთვისაც იგი აწამეს, გიორგი კაბადუკიელი იყო. ევსები მას არ იცნობდა იმიტომ რომ მისი ისტორია 325 წლით მთავრდება, ხოლო წმინდა გიორგის სახელი მაშინ გახდა პოპულარული, როცა მისი მონათვისა და მონის მიერ დანერგული „წამება“ გავრცელდა. უძველესი ჰაგიოგრაფიული თხზულება წმინდა გიორგის შესახებ იმ პალიმფსესტურ (ორჯერ ნაწერ) ფრაგმენტებშია, რომლებიც ვენაშია დაცული და მათ IV-V სს-ით ათარილებენ. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ სპარსელი მეფე დადიანი შვიდი წლის განმავლობაში აწამებს გიორგის. დილეგში მონამესთან მიდის იესო ქრისტე და უწინასწარმეტყველებს მას სამჯერ სიკვდილს, აღდგომას და მომავალ დიდებას. დადიანი, რომელმაც ვერ დაიყოლია გიორგი იმაზე, რომ მას დაეთმო ქრისტიანობა, დახმარებისათვის მიმართავს მოგვ ათანასეს, რათა მან დაარღვიოს გიორგის ჯადოსნობა. თავიდან ათანასე აჩვენებს თავის ხელოვნებას ხარზე, რომელსაც შელოცვით შუაზე გაჰყოფს. დასასჯელად მიმავალი გიორგი ღმერთს შესთხოვს ცეცხლით მოაკვდინოს მისი მანამებელი მეფე. წამების წინ მას ესმის უფლის ხმა, რომელიც აღუთქვამს, რომ შეუსრულებს ყველას თხოვნას, ვინც კი გიორგის სახელს ახსენებს. ამის შემდეგ გიორგი უბრძანებს ჯალათებს, შეასრულონ ბრძანება, როგორც მეცნიერები თეოქრობენ ამ უძველეს ძეგლზე აღმოცენდა უფრო ვრცელი „წამება“ რომელიც შემდგომ ოფიციალური ეკლესიის მიერ დაგმობილი იქმნა და „აპოკრიფად“ (ე.ი. აკრძალულ) თხზულებად იქნა მიჩნეული. როგორც ჩანს ეს აპოკრიფული თხზულება ცნობილი იყო ქართული საეკლესიო წრეებისათვის, და შესაძლებელია, თარგმნილი იყო კიდევ,

იხსენიება ექვთიმე მთაწმინდელის პასუხში, რომელიც გაუგზავნა ჭყონდიდელ ბერს, გიორგის მის შეკითხვაზე, თუ რომელი წიგნების კითხვას კრძალავენ მართლმადიდებლური ეკლესია: „კუალად წმიდისა გიორგისა არს წამებაი, უცხო და უცხონი რაიმე საქმენი სწერია, რომელსა დადიანესი ეწოდების, ხოლო ჭეშმარიტი წმიდისა გიორგისა, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, იგი არს, რომელი დიოკლიტიანეს მიერ იწამა“ (კეკელიძე, 1951: 432-33).

ჩვენ სწორედ ის ორი თხზულება გვანტერესებს, რომლებიც წყარო დახდა წმ. გიორგის „წამების“ ქართული თარგმანებისათვის. კ. კეკელიძის მოწმობით, წმინდა მხედარი მარტვილობებზე (წამებებზე) დიდი ინტერესი გამოუწვევია X საუკუნის მიწურულიდან, განსაკუთრებით XI-XIII სს-ში როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ყალიბდება ძლიერი ფეოდალური მონარქია. როგორც კეკელიძე აღნიშნავს, ზოგიერთი მათგანის „წამება“ და მათ შორის წმ. გიორგისაც, გვხვდება X ს-ის ხელნაწერებში და ისინი უფრო ადრე, ალბათ IX საუკუნეშია ნათარგმნი, მაგრამ XI-XII საუკუნეებში ამ თარგმანებით აღარ კმაყოფილდებიან და ჩნდება ახალი თარგმანები. ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ძლიერი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების პროცესში საჭირო იყო მხედრული თავდადებისა და რაინდული მამაცობის გამოვლენის მაგალითები, საჭირო იყო ის, რასაც მოგვიანებით ლიტერატურისაგან ხაზგასმით მოითხოვდა ცნობილი მამუკა ბარათაშვილი თავის „ჭაშნიკში“, სახელდობრ: ლიტერატურამ უნდა კაცი გააგულოვნოს, ომი მოანდომოს და იარაღის ხმარება ასწავლოს და ამით ქვეყნისათვის გამოსადეგი გახადოს. ამ მოთხოვნილებაზე პასუხს იძლევიან არა მარტო საერო, რაინდული ლიტერატურის ძეგლები, რომელნიც გარკვეული სახით XII ს-ის მიწურულში იჩინენ თავს, არამედ უფრო ადრე სასულიერო მწერლობაც „წმინდა მხედართა“ ცხოვრება-მარტვილობის სახით. ყველაფერი ზემოთნათქვამი გარკვეულწილად ეხება წმ. გიორგის „წამების“ ქართულ თარგმანებსაც, რომელთა რიცხვი ქართულად ოთხია - უძველესია X ს-ის ხელნაწერებით მოღწეული, ავტორად დასახელებულია ბასიქარტოსი. მეორე თხზულება XI-XIII საუკუნეების ხელნაწერებითაა მოღწეული, ავტორად

დასახელებულია პასიკრატოსი, ე.ი. იგივე ზემოთხსენებული „წამების“ ბასიკარტოსი. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ქართული თარგმანი რედაქციულად ერთი წარმომავლობისაა და წარმოადგენს ზემოაღნიშნული ბიზანტიური კანონიკური რედაქციის ორ განსხვავებულ თარგმანს. მესამე თხზულება სათაურშივე გვამცნობს, რომ იგი ეკუთვნის სვიმეონ ლოლოთეტის ანუ მეტაფრასტის კალამს, ე.ი. ეს „წამება“ შეუდგენია ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის გამოჩენილ მოღვაწეს, სვიმეონს, ძველი თხზულების გადამეტაფრასების, ე. ი. ლიტერატურულ-მხატვრული გადამუშავების გზით. ქართულ სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული აზრით, იგი უთარგმნია ჩვენი კულტურისა და ეკლესიის გამოჩენილ მოღვაწეს, ექვთიმე მთაწმინდელს და მოღწეულია ათონის ქართველთა მონასტრის (A th -79) 990 წ. ხელწერით. მეოთხე თხზულება, რომელიც მართალია, გვიანდელი ხელნაწერებით (ქუთ. 7, XIII ს. ქუთ. 92, XVIII ს. Q 336, 1864). არის მოღწეული, თარგმნილია, როგორც ენობრივი მონაცემები ცხადყოფს, XII-XIII სს-ში, მაგრამ მისი ბერძნული წყარო წ. გიორგის „წამებათა“ შორის ერთ-ერთი უძველესი თხზულებაა და წინ უსწრებს ზემოთმოტანილი ქართული თარგმანების ბერძნული დედნების ჩამოყალიბებას.

ქართული თარგმანი წმინდა გიორგის „წამებისა“, ტრადიციულად მიჩნეულია წმინდა გიორგის შესახებ ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაში ყველაზე ადრინდელ თხზულებად, რაც ალბათ, განპირობებულია იმით, რომ იგი შესულია ათონის ქართველთა მონასტრის X ს. (ალბათ, მისი I ნახევრის) A th. 8-სა და სინას მთის Sin-62 X ს. ხელნაწერებში და წარმოადგენს ე. წ. კიმენურ, ე.ი. ძველ, თავდაპირველ, გადამუშავებულ თხზულებას, საპირისპიროდ მეტაფრასულისა, რომელიც ე.წ. კიმენური ტექსტის ხემეორედ გადაკაზმვა-გადამუშავება არის. სწორედ ამ თხზულების შემცველ ერთ-ერთ XI ს.-ის ხელნაწერში (H-535) სათაურის შემდეგ სწერია „ჭემმარიტი“, ალბათ ეკლესიის მესვეურთა ორიენტაციისათვის, რომ გამიჯნულიყო აპოკრიფისაგან, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელის ზემოაღნიშნულ პასუხში არის ხაზგასმული (ბიზანტიაში კი უფრო ადრე). წმინდა გიორგის წამებების განსახილველი რედაქცია,

ანუ ვარიანტი გამოსცა მ. საბინინმა „საქართველოს სამოთხეში“ 1882 წ-ს (გვ. 48-68) ერთი XVIII ს-ის ხელნაწერის მიხედვით.

მასთან შინაარსობრივად ახლო ნათესაობაშია ქართულად ნათარგმნი წმინდა გიორგის მეორე, ასევე კიმენურ რედაქციად მიჩნეული, თხზულება. პირველი თხზულების ბერძნულიდან დედანი, რომელსაც ქართული თარგმანი მეტ-ნაკლები სიზუსტით მოჰყავს, არ ჩანს, ხოლო მეორე თხზულება ცნობილია ბიზანტიურ საეკლესიო მწერლობაში და მისი ბერძნული ტექსტიც გამოცემულია (მინის პატროლოგია 115, 141-161). შეიძლება ვიფიქროთ, რომ განსახილველი ქართული თარგმანი მეტისმეტად თავისუფალი თარგმანია, ან შესაძლოა ქართულად იგი თარგმნილი იყოს სომხურიდან, რომელიც თავის მხვრივ თარგმნილი იქნებოდა ბერძნულიდან. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ეს კრებული (A th.-8) მასში შესული ბევრი თხზულების ხასიათის გამო სომხურიდან თარგმნილად მიაჩნიათ.

თავი III.ზოგიერთი საკითხის გააზრებისთვის წმიდა ტბელ აბუსერისძის „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისანის-მიხედვით

წმიდა ტბელ აბუსერისძის თხზულებათაგან ჩვენამდე შემონახულია „სასწაულნი წმინდისა მთავარმონამისა გიორგისანი“. ამ რელიგიურ-ისტორიულ თხზულებაში აღწერს აჭარელი გლეხის, ხელობით კალატოზის ბოლოკ-ბასილის სამშენებლო საქმიანობას შუარტყალში, ოპიზის მახლობლად; ნაშრომი შეიცავს საგვარეულო მატთანეს, აგრეთვე იმდროინდელი ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების მნიშვნელოვან ცნობებს: ალავერდის წმიდა გიორგის სასწაულმოქმედება; ადამიანის დახსნას ტყვეობიდან წმიდა გიორგის მიერ; ხვარაზმელთა შემოსევას საქართველოში და ქვეყნის აოხრებას; ხიხათა ეკლესიის აგებას, გაფართოება-შემკობას, ბევრი რამ, რაც აქ აღუწერია აბუსერისძეს, უამბიათ მისთვის ბოლოკ-ბასილის შვილიშვილებს და მის ახლობლებს. ავტორს მიზნად ჰქონია აღწერა წმიდა გიორგის სასწაულები. თხზულება მდიდარია კონკრეტულ-ისტორიული ხასიათის მონაცემებითაც და საყურადღებო საისტორიო წყაროდ ითვლება (ვარდოსანიძე, 2009:500).

ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული თხზულება, სასწაულნი წმიდისა გიორგისანი სიმბოლურად წმინდა გიორგის ხსენებით იწყება: „ჯერ არს ხსენებაი, მშვენიერისა და დიდისა და ახოვანისაი, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყვათა შესაკადრებლად ღირსებისაებრ მოქმულისაი“.

შემდგომ აბზაცში მოხსენიებულია მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე; „ ვინაითგან თანაარსმან სიტყუამან, სიბრძნებამ და ძალმან თანადაუსაბამომან დაუსაბამოისა მამისაგან არავე აკმაა შობაი ქალწულისაგან უბინოისა და გვემსგავსა, თვინიერ ცოდვისა, განგებულებითა და ჯერ-ჩინებითა სულითა წმიდისაითა, რომელი გამოვალს დაუსაბამოი თანაარსებით დაუსაბამოისა მამისაგან“, რაც იმის მანიშნებელია, რომ ღვთის ძე არის თანაარსი და თანასწორი მამისა და სულიწმინდისა „მამისაგან შობილი უნინარეს ყოველთა საუკუნეთა“, მაცხოვარი, რომელიც იშვა ქალწულისაგან უბინოისა და გვემსგავსა, განხორციელდა, განკაცდა, ღმერთი განკაცდა, ადამიანთა ცოდვათა გამოსხნისათვის.

„და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყვაი ღმრთისაი კაცთქმნილი ნეტსით, და ივნო ჩუენთვის სიკუდილითა ჯუარისაითა, რომლითა განიკურნა ცთომილებაი ხისამიერი“. უფალი ივნო ადამიანთა ცოდვათა გამოსხნისათვის, „ცთომილებაი ხისამიერი“, შესაძლოა იგულისხმებოდეს ადამისა და ევას თავდაპირველი ცოდვა, აკრძალული ხიდან ნაყოფის მონყვეტა და ჭამა. თრაზაში „გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყვაი ღმრთისაი კაცთქმნილი ნეტსით“, ასევე აღნიშნულ მონაკვეთში შესაძლოა იგულისხმებოდეს მაცხოვრის გამოცდა უდაბნოში ეშმაკისაგან (ბიბლია, 1989: მათე 4, 1-10).

უფალმა თავად იტვირთა კაცობრიობის ცოდვები და ჯვარზე გაკრული სასტიკ წამებას, უდიდეს მწუხარებასა და ტანჯვას გაუძლო, იმ ცოდვათა გამო რომელიც ადამის მოდგმამ ჩაიდინა, და რომელთა ჩადენასაც განაგრძობს წუთისოფლის აღსასრულამდე, „და მოგვენიჭა უკვდავბაი ცხოველმყოფელითა აღდგომითა მისითა, რომლითა დაითრგუნა ეშმაკი დასითურთ მისით“.

ტბელ აბუსერისძე თავის ნაშრომში დეტალურად გვისურათხატებს ზეციური იერარქიას, „სრულად - ცხრანივე დასნი წმინდათა ანგელოზთა და მეთენი კაცთანი“. ანგელოზთა დასნი სამ იერარქიად განიყოფებიან, უმაღლეს იერარქიას შეადგენენ:

სერაბიმნი, ქერუბიმნი და საყდარნი, ყოვლადწმინდა სამებასთან ყველაზე ახლოს დგანან სერაბიმნი, ანგელოზთა საშუალო იერარქიას შეადგენენ:

- ❖ უფლებანი;
- ❖ ძალნი;
- ❖ ხელმწიფებანი;

უმდაბლესი იერარქია - სამ დასს:

- ❖ სანყისნი;
- ❖ მთავარანგელოზნი;
- ❖ ანგელოზნი;

წმინდა კაცთა „დასს“ აბუსერისძე ორ სამყაროდ ყოფს. ესენი არიან:

- ძველ აღთქმაში (პირველსა სჯულსა შინა): მამადმთავარნი და წინასწარმეტყუელებნი;
- ახალ აღთქმაში (ახალსა შინა): მოციქულები და მღვდელთმოდგარნი, მოწამენი და წმ. დედანი და მამანი.

ცალკე გამოიყოფა ღვთისმშობელი და ნათლისმცემელი.

ტბელ აბუსერისძე წინასწარმეტყველთა, მოწამეთა და წმიდა მამათა შორის განსაკუთრებულად გამოყოფს იოანე ნათლისმცემელს, „ქადაგსა და სიტყვასა ღმრთისასა, წინამორბედსა და ნათლისმცემელსა“, იოანე იყო ბოლო წინასწარმეტყველი ისრაელის ერისა, წინამორბედი უფლისა, მას უდიდესი მისია ერგო - კაცობრიობა უფალთან შესახვედრად მოემზადებინა, ადამიანთა გულები განემზადებინა მესიის, მხსნელის მისაღებად, იოანეს ქადაგებით არაერთი ადამიანი მივიდა უფალთან და შეიცნეს ქრისტე, თვით იოანესგან ინება განკაცებულმა უფალმა ნათლისღება. გავიხსენოთ მათეს სახარებიდან იოანეს შეფასება იესოს მიერ, „ჭეშმარიტად გუებნებით თქვენ: „დედაკაცთაგან ნაშობთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე ღიდი,

მაგრამ ცათა სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია“ (ბიბლია, 1989: მათე 12, 11. ლუკა 7, 8).

წინასიტყვაობის მომდევნო ნაწილში ავტორი ავითარებს ეკლესიის ერთიანობის იდეას, და ამკვიდრებს „ერთეკლესიის“ ცნებას, „ამათსა სახელსა ზედა აღაშენნეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი „ერთეკლესია აერთიანებს წმიდათა ღმრთისათა სახელზე აშენებულ ეკლესიებს: „ამათსა (ე.ი წმიდათა ღმრთისათა) სახელსა ზედა აღაშენნეს ეკლესიანი, ერთეკლესიად წოდებულნი - წერს აბუსერისძე. ტბელ აბუსერისძის ერთეკლესიისა და ერთსარწმუნოების იდეა ეხმიანება პავლე მოციქულის წერილებს ეფესელთა და კორინთელთა მიმართ „ერთია უფალი, ერთია რწმენა, ერთია ნათლისღება. ერთია ღმერთი და მამა ყოველთა, რომელიც არის ყოველთა ზედა, ყველას მიერ და ყველა ჩვენგანში“ (ბიბლია, 1989: ეფეს. 4.6. კორ. 12. 12-30). მწერალი ამ კონტექსტში ცალკე იხსენიებს პეტრე მოციქულს და მის მიმართ მაცხოვრის მიერ თქმულ სიტყვებს: „შენ ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი (ხალვაში, 1998: 46-47) გავიხსენოთ მათეს სახარებიდან პეტრეს მიერ ქრისტეს შეცნობის ეპიზოდი: „უთხრა მათ „თქვენ კი რას იტყვით ვინ ვარ მე?“ სიმონ პეტრემ უთხრა მას პასუხად: „შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა, მიუგო იესომ და უთხრა მას: „ნეტარ ხარ შენ სიმონ იონას ძე, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია. მე გეუბნები შენ: „შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას და მას ვერ დაძლევენ ჯოჯობეთის ბჭენი“. (ბიბლია, 1989, მათე 16-18).

აბუსერისძეს წინასიტყვაობაში მოჰყავს მაცხოვრის აღთქმა წმიდა სამებისადმი: „რომელმან ახსენოს წმიდაი სამებაი და შენ მიერ ჩემთა მომართითა და ა.შ. აღნიშნული ფრაზა ეხმიანება მაქსიმე აღმსარებლის მრწამსს (თარგმ. ეფვთ. მთაწმნდ.) „სამებასა თაყვანს ვცემ ერთარსებით - და ერთარსებასა სამებით, თანადაუსაბამოსა, სწორსა, ძლიერებითა და პატივითა. ერთსა ღმრთეებასა აღვიარებ წმიდისა სამებისასა, ერთს მეუფებასა, დაუსაბამოსა დადაუსრულებელსა“ 24.03.2019 წ.(<http://martlmadidebloba.ge/mrtsamsi3.html>) მაცხოვრის აღთქმის პერიფრაზში მწერალი

აქცენტს აკეთებს სახარებისეულ თხრობაზე ქვრივის შესახებ, გავისხენოთ, „იჯდა საგანძურის წინ იესო და ხედავდა, როგორ ყრიდა ხალხი ფულს საგანძურში, მრავალმა მდიდარმა ბევრი ჩაყარა. მოვიდა ერთი ღარიბი ქვრივი დედაკაცი და ჩადო ორი ლეპტა, დაუძახა მან თავის მოწაფეებს და უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ამ ღარიბმა ქვრივმა საგანძურში ყველა ჩამღებზე მეტი ჩადო. ვინაიდან ყველამ თავისი მოჭარბებულიდან ჩადო, იმან კი თავისი სინაკლულიდან, ყველაფერი რაც კი სასიცოცხლოდ გააჩნდა“ (ბიბლია, 1989: მარკ. 13-41).

ნაწარმოების მეორე ნაწილში ავტორი საუბრობს მშენებლების მიერ ქვრივის დაწუნებულ ქვაზე „ქვრივისთემის საშუალებით აქვს განხორციელებული, ავტორის სიტყვებით, როგორც თავის ღროზე წმ. გიორგიმ ქვრივის სვეტი თავის ტაძარში „მიითულა“, ასევე „ესერა უამთაცა ამათ ჩუენდა“ ერთსა ერისკაცთაგანს, ე.ი. ბოლოკ ბასილის სასწაულებრივად თავის სახელზე ტაძარი აღაშენებინა. ქვრივის სვეტი ეხმიანება მათეს სახარებიდან „იგავი ბოროტ მინისმუშაკებზე“ მას შემდეგ რაც მინისმუშაკებმა მონები და მეპატრონის ვაჟი დახოცეს, იესო მღვდელთმთავრებს და ფარისევლებს ეკითხება, „აბა როცა მეპატრონე მოვა, რას უზამთ ამ მინის მუშაკთ? უთხრეს მას: „ამ ბოროტეულთ ბოროტად დახოცავს და ვენახს გადასცემს სხვა მინისმუშაკთ, რომლებიც ნაყოფს თავის ღროზე მისცემენ. „უთხრა მათ იესომ: ნუთუ არასდროს წავიკითხავთ წერილებში: ქვა რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს ქვაკუთხედად იქცა, უფლისაგან მოხდა ეს და საოცარია ჩვენს თვალში“ (ბიბლია, 1989, მათე 21. 42). ამ მონაკვეთის გაგებისათვის საჭიროდ მივიჩნიეთ წმინდა გიორგის შესაბამისი სასწაულის მოკლე შინაარსის გადმოცემა. კერძოდ, წმინდა გიორგის განახლებული ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილის შეტანა მოინდომა ღვთისმოსავმა ქვრივმა ქალმა. მან იყიდა ტაძრისათვის ერთი „შუენიერი სვეტი“ და მიართვა მთავარს, რომელიც განაგებდა ტაძრის მშენებლობის საქმეს. მთავარმა არ მიიღო შემოწირული სვეტი, „დაუტევა სვეტი იგი მუნვე და სამეუფონი, ხოლო ატირებულ ქვრივს „წარმოუდგა მხედარი ვინმე შუენიერი“, გამოიკითხა მისი გლოვის მიზეზი, ცხენიდან ჩამოხტა, სვეტზე თითით დააწერა, სად უნდა აღემართათ იგი. და

მერე ქვრივთან ერთად წაიღო ზღვაში და შეაცურა, თვითონ გაუჩინარდა. გახარებული ქვრივი ღმერთს და წმინდა მონამეს მადლობას უთვლიდა. „ხოლო სუეტმან მან წილ-ვლო ზღუაი და მიინია პირველ სუეტთა მათ მიწვენისა, რომელ იყვნეს ნავსა მათ სამეუფოსა. და ვითარცა მიინია, დადგა კიდესა ზღვასა.... სამეუფომან მან კაცმან, განწესებულმან შენებასა მას ზედა ტაძრისასა, გულისხმა-ყო ძალი საქმისაი მის და იცნა სუეტი იგი, და სარწმუნოებაი ქვრივისაი მის დაუკვირდა და და შეძრწუნდა და აღიდებდა ღმერთსა და ძალსა მას წმიდისა მონამისასა აქებდა. და ბრძანებულისა მისებრ წმიდისა მის მონამისა საღმრთოთა მათ მიერ ასოთა ყოველივე შეუორგულებლად აღასრულა“, მოტანილი ეპიზოდი წარმოადგენს წმინდა გიორგის „მესამე სასწაულს“ ბერძნულიდან თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში - „უწყებაი საკვირველებათათვის წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მონამისა გიორგისთა“ (გაბიძაშვილი, 1991:80-90).

ყოველი აგიოგრაფიული ნაწარმოები სულიწმიდის გაცხადებაა წმინდანის სიტყვაში გამოვლენილი, ამიტომ როცა ვმსჯელობთ რომელიმე აგიოგრაფიული თხზულების შესახებ, პირველ რიგში მნიშვნელობას ვანიჭებთ წმინდანის მიერ თქმულ სიტყვას. სიტყვას აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო და ხატი. აგიოგრაფია წმინდანის ღვაწლზე მოგვითხრობს, აქ ერთდება საღვთო და მხატვრული სიტყვა, სწორედ სიტყვამ დაუკავშირა ერთმანეთს ღმერთი და ადამიანი, სიტყვა იქცა შუამავლად დამბადებელსა და დაბადებულს შორის და დღემდე აერთებს იგი მიწიერს ზეციურთან 23.03.2019წ.

<http://www.nplg.gov.ge/gsdll/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc-00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3&d=HASH01e92244d8c8da0b015a7cb6>

. აქვე აღსანიშნავია, წმიდა გიორგის „სიტყვა“ თქმული გამოცხადებითა, წმიდა გიორგი ქვირითხურო ბასილის პირველად გამოცხადდა, მაშინ როდესაც ის წავიდა „ქუეყანასა სომხითისასა, მახლობლად თფილისისასა“, (ტერმინი „სომხითი“ ქართულ წყაროებში აღინიშნება ქვემო ქართლი და საკუთრივ სომხეთი, თუმცა ამ ეპიზოდში მოიხსენიება ტერიტორია ქვემო ქართლისა).

საყურადღებოა, როგორ აკავშირებს წმიდა დიდმონაშემ ტაძრის შენებისათვის სამ რეგიონს: აჭარას, ქართლსა და კლარჯეთს: ბასილი ტაძრის შენებისათვის აუცილებელი იარაღებისათვის წმიდანის ბრძანებით წავიდა კლარჯეთს, „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისსა, რომელსა ჰქვიან ოპიზაი“. ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კოლონიზაცია სწორედ წმ. გიორგის სახელობის ტაძრის აგებით დაიწყო. ნიშანდობლივია, რომ გიორგი მერჩულე კლარჯეთის მეუდაბნოებს წმ. გიორგის ადარებს (სირაძე, 1987:154) სწორედ, აქ დაიწყო ბაგრატიონთა დინასტია და აქვე შეიქმნა მეფეთა ღვთაებრივი წარმოშობის იდეა, რომელიც პირველად გრიგოლ ხანძთელმა გამოთქვა აშოტ კურაპალატის წინაშე („დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულს ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრნენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისთვისცა ამას მოგახსენებ: არ მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენტა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე უამთა“, აქედანვე ჩანს ქართლის პატრიარქად გრიგოლის მონათვის არსენის დანიშვნის საფუძველი. დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომ გრიგოლის მონათვე ეფრემ ანკურის ეპისკოპოსი მირონის კურთხევას ქართლში განაწესებს. ამით ანკურის ეპისკოპოსი სრულიად საქართველოს საეკლესიო მთლიანობის სიმბოლურ საფუძველს ქმნის. ამას მოსდევს შემდეგი სიტყვები, გამომხატველნი საქართველოს ეროვნული მთლიანობისა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ (იქვე, 141).

აჭარა ერთ-ერთი ძირძველი ქრისტიანული კუთხეა საქართველოში. „აჭარის მრავალტანჯულ მიწაზე ფეხი დაუდგამს და ქრისტიანობა უქადაგია იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან: ანდრია პირველწოდებულს (სახარებაში პირველ მოციქულად ანდრიაა დასახელებული, ამიტომაც მას „პირველწოდებული“ ეწოდა), სიმონ მოპურნეს იგივე კანანელს, მატათას“. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თვლის, რომ ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა „უფლის სიტყვის ქადაგებით განვლეს საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის

პირველ საუკუნეში“, ამასთან დაკავშირებით დასძენს, რომ: „ღმერთმა დალოცოს ღვთიოთკურთხეული აჭარა, სადაც პირველ საუკუნეში დაენტო ლამპარი და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოსი“ (ბეჭირიშვილი, 1991:33).

მაცხოვრის ამალღების შემდეგ, „რაჟამს წილ იგდეს მოციქულთა“ საქადაგებლად, ღვთისმშობელს ივერიის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ, რადგან მისი მიცვალების უამი მოახლოებული იყო ძე ღვთისამ უბრძანა, იერუსალმში დარჩენილიყო, საქართველოში კი ანდრია პირველწოდებული გაეგზავნა თავისი ხელთუქმნელი ხატით. ყოვლადწმინდა ქალწულმა მოუწოდა წმინდანს, და ღვთის ნება აუწყა, შემდეგ ფიცარი მოითხოვა, „დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა“. ფიცარზე ღვთისმშობელი გამოისახა ყრმა იესოთი, ეს სიწმინდე ზეციურმა დედოფალმა ანდრიას გადასცა და დიდ ღვანლს შემდგარი, აკურთხა. წმინდა ანდრიამ გაიარა საბერძნეთი, მც. აზია, შემდეგ კი შავიზღვისპირეთს მიაშურა, შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების“. ნეტარს მრავალი განსაცდელი დაატყდა თავს ურწმუნოთაგან, მაგრამ ღვთისა და პატიოსანი ხატის მეოხებით ყველაფერო მადლობით დაითმინა . „ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. იმ ადგილას, სადაც მოციქულმა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, „ფრიად შუენიერი და დიდი“ წყარო აღმოცენდა. ამ სასწაულმა მრავალ წარმართს გაუნათა გონება და შეუდგნენ ქრისტეს მაცხოვრებელ სწავლებას, მოციქულმა ახალმოქცეულთ დაუდგინა მღვდლები და დიაკვნები, „დაუდგინა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა“, აუგო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარი, სადაც ფიცარზე ზეციური დედოფლის ნაბოძები ხატიდან სასწაულებრივ გადასული ხატი 22.04.2019წ. (<http://www.orthodoxy.ge/tveni/noemberi/30-andria.htm>).

აღსანიშნავია, რომ IX საუკუნეში ბიზანტიას მწვავე ბრძოლები ჰქონდა ხალიფატთან, ქართველებზე პირდაპირ პოლიტიკურ ბატონობასაც ეძებდა, ანდრია პირველწოდებული აღიარებული იქნა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს პატრონად და მფარველად განსაკუთრებით 357 წლიდან, როდესაც მისი ნეშტი იმპერატორმა კონსტანტინემ კონსტანტინეპოლში

გადმოასვენა, ეს გარემოება აღნიშნულ საპატრიარქოს იმის საბუთს აძლევდა, რომ პრეტენზიებისათვის ჩარეოდა ანდრია მოციქულის მიერ მოქცეულ ხალხთა ცხოვრებას. ანტიოქიის საპატრიარქო ტახტმა მოისურვა საქართველოსათვის ეკლესიისათვის წაერთმია დამოუკიდებლობა, ანუ ავტოკეფალია, რადგან თითქოსდა არც ერთი 12 მოციქულთაგანი არ ყოფილა საქართველოში და არ დაუარსებია აქ ეკლესიები, რაც საეკლესიო კანონმდებლობის მიხედვით აუცილებელი პირობა იყო ეკლესიის ავტოკეფალიისათვის. ამიტომ ქართველებისათვის აუცილებელი გახდა ისეთი დოკუმენტის გამოძებნა, რომელშიც ფიქსირებული იქნებოდა საქართველოში რომელიმე მოციქულის მიერ ქრისტიანობის ქადაგება. ათონის ქართველთა რელიგიური ცენტრის წინამძღვარმა, ცნობილმა ისტორიკოსმა და პატრიოტმა გიორგი მთაწმინდელმა-ათონელმა (დაიბადა 1009 წელს) ასეთი საბუთი-წიგნი წარადგინა „მიმოსვლათა ანდრია მოციქულისათა“ - თავად ბერძენთა პატრიარქს მოატანინა და შესაფერისი ადგილის წაკითხვამდე უთხრა: „თქვენ იტყვიან პირველ მოციქულ პეტრეს საყდარსა ვზივართო, ჩვენ კი მისი ძმის ნაწილნი ვართ და სამწყსონი, და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი.....“ მოციქულთაგან სვიმონ კანანელი „ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების“... ჩვენ ქართველები მათ „მცნებათა და ქადაგებათა.... მტკიცე ვართ, ამიტომაც არ უნდა დაგემორჩილოთო. გიორგი მთაწმინდელის საბუთიანობა იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ პატრიარქმა მის წინააღმდეგ ხმის ამოღებაც ვერ შეძლო. გიორგი მთაწმინდელი გამოჩენილი ისტორიკოსი იყო, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დაიბადა, ხახულის ეკლესიაში აღიზარდა და ერთხანს აქ კიდევ მოღვაწეობდა, ეს კი იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ ამ მხარეში შემავალ აჭარასაც იცნობდა და მისი ისტორიაც იცოდა (ბეჭირიშვილი, 1991:29-30)

წმიდა ტბელ აბუსერისძის „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ თხზულება შეეხება ხიხათა ციხესიმაგრესთან ახლოს, ფოცხოვში, დაბა შუარტყლის

წმ. გიორგის ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას - ტაძარს მარტო, სხვების დახმარების გარეშე აგებს დახელოვნებული ქვითხურო ბასილი. ტექსტში აღწერილი სასწაულები უკავშირდება მშენებარე ეკლესიის ეზოში დაბრძანებულ ჯვარს, რომელიც «სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმონაშისსა». ნაწარმოების ბოლოს ტბელ აბუსერისძე წერს: «ესევეთარიითა საკურველებითა დაესვენა (ჯვარი - რ. ხ.) ნამუშაკვესა თვისა წმიდასა». «ნამუშაკვევი თვისი» აღნიშნავს ჯვრის და წმ. გიორგის ლოცვით და მეოხებით ნამუშაკვეს. ეს არის ალავერდის მთავარმონაშე, რადგან ჯვარი მისი სახელობისა იყო. ასეა გაშინაარსებული ნაწარმოებში საღვთო მადლის განფენა ერთი ტაძრიდან მეორეში, რითაც ვითარდება «იოანე ზედაზნელის ცხოვრებასა» და «აბიბოს ნეკრესელის წამებაში» მოცემული თემა: «ხოლო ამის ნეტარის იოვანეს მონაფეთაგანმან (იგულისხმება იოანე ზედაზნელის მონაფე იოსებ ალავერდელი (ხალვაში, 1998:19) აღაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე“(ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სალექციოდან, იხ, წმ ტბელ აბუსერისძე).

ტბელ აბუსერისძის თხზულების ეიკონურ ცენტრს ალავერდის წმ. გიორგის მიერ განძიდან (განძა) ტყვის გამოხსნის ეპიზოდი წარმოადგენს. მოთხრობაში წმ. გიორგის ფრესკული სახე გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შუბის ნაცვლად მას ხელთ უპყრია მათრახი, ხოლო თეთრი ცხენის ნაცვლად ჰყავს «ჭარმაგი» (თეთრზე შავით დანინკლული) ცხენი. ნიშანდობლივია, რომ ეს თავისებურებები ქართული იკონოგრაფიული ტრადიციით არის ნაკარნახევი, კერძოდ, ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის მოხატულობით (იქვე, 19)

თხზულება გამოირჩევა აღმზრდელიობითი და ტროპოლოგიური მნიშვნელობის ხაზგასმით. წმ. გიორგი «სწავებით განაძლიერებს» მთავარ პერსონაჟს - ბასილის. თითოეული სასწაული კი ზნეობრივი მაგალითის ხასიათს იღებს და არც თუ იშვიათად მთავრდება მორალური შეგონებით, რითაც ნაწარმოები ფოლკლორულ ტექსტებს უახლოვდება. «წმ. გიორგის ახალ სასწაულთა» ავტორის

სიახლოვე ხალხურ სამყაროსთან იმდენად დიდია, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ჩნდება კარნავალიზების ელემენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მოქმედ პირთა ნართაული სახელები - ბოლოკ-ბასილი (შდრ.: «ბოლოკა»), «პონილი», «კუანილი», ხარის სახელები - «პირქუში» და «ქურდა». ნაწარმოებში ვხვდებით წმ. გიორგის მხიარულებასაც («ლალობა»): ის ქვის განაპობში ჩააყენებს ბოლოკ-ბასილის და იქეთ-აქეთიდან ქვებს შემოაჭერს, ბოლოს კი გაუშვებს და შეაგონებს მას: «წმიდამან, რეცა სიცლის სახედ და ლალობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: აღმოხედ და ნუ ხარ მონყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ-ქმენ ტაძარი ჩემიო». სხვა ეპიზოდში წმ. გიორგი ენამოჩლექილ ხელოსანს მოფერებით ჰატარა ბავშვივით დაუძახებს: «ბაჩილო!», რითაც ავტორი წმ. გიორგის მამაშვილურ დამოკიდებულებას «ქრისტეში ჩვილებთან» (1 კორ. 3.1-3) ქადაგების მნიშვნელობას ანიჭებს(ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის სალექციოდან, იხ, წმ ტბელ აბუსერისძე).

თხზულებაზე დართულ „ანდერძში“ ტბელ აბუსერისძე ერთიან საქართველოს «სრულ საქართველოს» უწოდებს, რომელსაც ხვარაზმელთა სახით «კაცის მჭამელნი მგელნი» შემოესივნენ. ნიშანდობლივია, რომ მათ განდევნას, ჩვეული პროვიდენციალიზმიდან გამომდინარე, მწერალი საქართველოს გეციური მფარველის - წმიდა გიორგის მეოხებას მიაწერს.

ზემოთ მოტანილი ვითარებიდან გამომდინარე, ტბელ აბუსერისძე აგიოგრაფიულ მაგალითებს ეროვნულ-სარწმუნოებრივი შინაარსით მიოხმობს. მან აღნიშნული (აჭარა, ქართლი, ტაო-კლარჯეთი) სამი რეგიონის დაკავშირებით, ქვეყნის ერთიანობის იდეა დასახა.

მართალია, ტბელ აბუსერისძის ჰაგიოგრაფიული თხზულების მთავარი თემა, მხოლოდ წმიდა გიორგის სასწაულების წარმოჩენა არ არის, თხზულებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ლიტერატურულად ასევე ისტორიულად, თვით წმინდანის ღვანლის წარმოსაჩენად მწერალს ნაწარმოებში შემოჰყავს ერისკაცები. ბასილი, ივანე ბასილის ვაჟი, რომელსაც „ამასცა უამსა შინა, იოანედ იწოდებოდა“. ჰაგიოგრაფი

მწერალი შეგნებულად უქვემდებარებს ერისკაცთა ცხოვრების ფრაგმენტულ ეპიზოდებს, წმინდა გიორგის ღვანლის წარმოსაჩენად, ავტორმა წარმოაჩინა არა მარტო ერისკაცთა ცხოვრება, არამედ მათი მიმართება ეკლესიასთან, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გარდა ბასილიმ „სახლი აღაშენა საყოფელად სახლეულთა თვისთა გამოცხადებითავე წმიდისაითა, დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუნდო წმიდამან“, ასევე იოვანემ „და ერთი ტაძარი სხუაი აღაშენა სახელსავე ზედა წმიდისა მთავარმონამისა გიორგისსა, გამოცხადებითა მისითა და შენდობითა კაცთა თანაშენენისაითა, ვითარცა არს ჩვეულებაი და წესი სოფლის დასაბამითგანი“.

როგორც ავტორი აღნიშნავს, „ვიდრე მუშაკობდა, ამით საკვირველებითა მწე ექმნებოდა წმიდაი ესე ახოვანი, დიდი მონამე გიორგი, ვითარცა მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, ძე ივანესი, რომელსა ამასა შინა აღწერისათვის იოანედ უწოდ, და რომელსამე მახლობელნი მისნი“, შუარტყლის ტაძარს მკვლევარები XII საუკუნის პირველი ნახევრით ათარიღებენ (სიხარულიძე, 1963:54), ასევე (ლ. მუსხელიშვილი, 1941:13) რადგან ვერც ბასილს და ვერც მის შვილს ივანეს (იოვანეს) ტბელ აბუსერისძე ცოცხლებს ვერ მოსწრებია. იგი მხოლოდ ივანეს შვილს - მღვდელმონაზონ იოსებს იცნობდა, რომელიც მოთხრობის დანერის დროს უკვე გარდაცვლილი იყო. იოსები მოსწრებია ხვარაზმელთა საქართველოში შემოსევას (1225-1230 წ.) და მალევე გარდაცვლილა. ტბელ აბუსერისძისათვის მასვე უამბნია შუარტყლის წმ. გიორგის ტაძრის მშენებლობის ამბავი (მიქელაძე, 2013:61).

IX-XIII საუკუნეებში შუარტყალი საკმაოდ დანინაურებული სოფელი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, შუარტყალში ფრიად განვითარებული ყოფილა ხელოსნობა. რა თქმა უნდა, ამ დარგის ის გაქანება, რომელსაც ტბელ აბუსერისძის თხზულებით ვეცნობით, მარტოოდენ XII-XIII საუკუნეთა კუთვნილება არ უნდა ყოფილიყო და წარსულის დიდ მემკვიდრეობას ეფუძვნებოდა. როგორც ლ. მუსხელიშვილი აღნიშნავს „..... მყარი იყო ხელოსნობის ცენტრები შუა საუკუნეებში, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ X საუკუნეში, ისევე როგორც XIII-ში, ქვირითხურობა შუარტყლის პრივილეგიას შეადგენდა“ (მუსხელიშვილი, 1941: 55).

ნაშრომში აგრეთვე, საუბარია წმ. გიორგისა და ღვთისმოსავ კალატოზის, ბოლოკ-ბასილის შინაგან ურთიერთობაზე, რაც ზნეობრივი და სულიერი სრულყოფილების ნიშანია. ნაწარმოებში მოქმედება სხვადასხვა სასწაულის შემცველი ამბების ფონზე ვითარდება. წმიდანისა და ბასილის სულიერი ერთობა, კალატოზის საღვთო მოპურნეობით სავსე შრომა ტაძრის აგებით გვირგვინდება, რაც მიანიშნებს მის სულიერ წინსვლას, ღმერთში მეფობას. წმინდა გიორგი მას გამოცხადებით უბრძანებს, მარტომ აღაშენოს ტაძარი. მარტოობა ამ შემთხვევაში ღმერთთან ერთადერთი და განუმეორებელი ურთიერთობის ფორმაა, ღმერთთან ლოცვითი თანაცოფის ხელშემწყობი პირობაა (ჩიკვაიძე, 2009:158).

ასევე ყურადსაღებია, ის ფაქტიც რომ „ახალ აღთქმაში, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების წიგნში არის აღგილი, სადაც ნათქვამია, რომ ბოლო უამს ყოველი ადამიანი მიიღებს სახელს, რომელიც მხოლოდ მას და ღმერთს ეცოდინებათ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღმერთსა და ყოველ ცალკეულ ადამიანს შორის არსებობს განუმეორებელი, ერთადერთი დამოკიდებულება“ (მეტროპოლიტი ანტონ სუროჟელი) (იქვე, 158).

საგულისხმოა, რომ წმინდა გიორგისა და კალატოზს შორის დგება გულწრფელი, სულიერი საუბარი, რაც ბოლოკ-ბასილის სინძინდის მიმანიშნებელია. ამ უშუალობის სიმბოლოდ მოიაზრება კალატოზის მოკრძალებული შეთამამება წმინდანთან, როდესაც ეს უკანასკნელი მას ტაძრის აშენებას უბრძანებს: „ჰოი წმიდაო გიორგი, რაი-მე ვყო საწყალობელმან და ყოველთა უბადრუკმან? პირველად ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა მიერ ოდენ ხელთა აღშენებაი ტაძრისა შენისაი. რომელი სოფლის დასაბამითგან არაოდეს ვისგან ქმნილ არს“. ჩანს, რომ კალატოზი წმინდა მლოცველია (იქვე ,158).

ყურადღებია გასამახვილებელი მრავალ ფაქტსა და მოვლენაზე, მათ შორის მნიშვნელოვანია ირმის გამოჩენა, როგორც ღვთის რჩეული ცხოველისა. მნიშვნელოვანია მისი როლი მოცემულ ნაწარმოებში. კერძოდ: „მოკლებასა შინა ირემიცა წარმოუდგინა

წმიდამან ბოლოკ-ბასილს და მის თანავე მუშაკთა“ „ხორცის მოკლება“ ნიშნავს დაუძლურებას დასუსტებას, ტბელის თხზულებიდან ვეცნობით, რომ ბასილი ღუხჭირ ყოფაშია, მაშინ იყო „დიდი სიყმილი“ და წმინდა გიორგის ტაძრის მშენებლობისას ის მთის ნაყოფით იკვებებოდა, მაგრამ გასაჭირში წმინდა მონამე წარმოუდგებოდა ხოლმე. ქართულ ჰაგიოგრაფიაში ირმის გამოჩენა და მისი რძით თავის გამოკვება უცხო მოტივი არ არის. „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მოვიდეს სამნი ირემნი, რომელთა უკანა სადევდეს ნუკრნი მათნი, და წარმოუდგეს წინაშე მათსა, ვითარცა ცხოვარნი დამშვიდებული..... ჰრქუა მამამან დავით: „ლუკიანე, ძმაო, მიიღე პინაკი და მოწუელენ ირემნი ისი“. ხოლო აღდგა და მოწუელნა და ვითარცა აღავსო პინაკი, მოილო წინაშე ბერისა. ხოლო მან დასწერა ჯუარი და შეიქმნა ხაჭოდ, და ჭამეს და განძღეს და აღიდებდეს ღმერთსა.....“და მიერთვან მივიდიან ირემნი ყოველთა დღეთა, თვინიერ ოთხშაბათ-პარასკევისა და თანა ჰყვანან მათ ნუკრნი მათნი და ესრეთ იბუებდეს ხორცითა და იხარებდეს სულითა“ 22.03.2019წ. (<http://www.orthodoxy.ge/dgesaswaulebi/mamadavitoba.htm>).

ირმის გამოჩენა „ხორცთა მოკლების“ დროს უსათუოდ გულისხმობს მის მოწველას და ირმის რძით გამოკვებას. ესეც ერთ-ერთი სასწაულთაგანია. შესაძლოა, ტბელისთვის და მისი თხზულების მკითხველთათვის ეს ნაცნობი მოტივია და ამიტომ მოკლედ თქვა ირმის გამოჩენაზე (ხალვაში, 1998:55) კიდევ ბევრი სასწაული მოუხდენია წმიდა გიორგის მისი სახელობის ტაძრის (რომელსაც ორღართას მთაზე აშენებდნენ ბასილი და მისი დამხმარენი) მშენებლობის პროცესში, მაგრამ ყველაფერს არ აღნუსხავს მწერალი, „რომლისა აღწერასა თანაწარგჰხედ სიმრავლისათვის საკვირველებათაისა, ღვთისმოყუარენო“, როცა განსაკუთრებით შთამბეჭდავი რამ აღიწერება, ავტორი ჩვენგან მოითხოვს თანაშემოქმედებას, რათა თავად წარმოვიდგინოთ იმაზე მეტი, რაც უშუალოდ სიტყვითაა თქმული. ამ შემთხვევაში უნებლიედ გვახსენდება იოანე საბანისძე, რომელიც წმიდა აბოს ღვანლის აღწერისას მეტ გულისხმიერებასა და ყურადღებას მოითხოვს.

ჩვენი ხეობის მკვიდრთათვის განსაკუთრებით, საყურადღებოა, სოფელ ცხმორისის წმიდა გიორგის ეკლესიისა და წმინდანის სასწაულების ისტორია. ქედის რაიონის სოფელი ცხმორისი უძველესი ქართული სოფელია. შუა საუკუნეებში ცხმორისი განთქმული ყოფილა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიით, რომელსაც მრავალ სასწაულს უკავშირებდნენ. ერთ-ერთი სასწაული ტბელ აბუსერისძეს აღწერილი აქვს თხზულებაში. ცხმორისის წმ. გიორგის ტაძარი შუარტყლის ტაძარზე ძველი ყოფილა. კუანილისა და პონილის სასწაულიც XII საუკუნემდე მომხდარა, როგორც ამას ტბელ აბუსერისძე გვაუწყებს: „რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვირველისა (ე.ი. შუარტყლის ტაძრის) აღშენებისა“. აქედან გამომდინარე ცხმორისის ტაძარს XI საუკუნით ათარილებენ, თხზულებიდან ვგებულობთ, რომ მწერალი თავად სტუმრობდა ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიას და სასწაულიც აქვე ჩაუნერია.

წმინდანის სახელი მკვიდრადაა დაფუძნებული აჭარის ისტორიაში, რაზეც მეტყველებს ტბელ აბუსერისძის ნაწარმოების პერსონაჟების რწმენა და შემდგომში კი წმინდანის მიერ მათი გამოხსნა.

წარმოდგენილ ნაწარმოებში, როგორც ავტორი აღნიშნავს თაბულად იყენებს ამ რეგიონში მომხდარ ამბავს. ავტორი დეტალურად ცდილობს აგვიხსნას და დაასაბუთოს ის დუხჭირი ცხოვრება, რის გამოც იძულებული არიან ცხმორისის მკვიდრნი სამუშაოდ სხვაგან წავიდნენ, თუმცა მათ არ გაუმართლათ ტყვედ ჩავარდნენ. მათმა რწენამ და წმინდანის შეწევნამ ისინი სამშობლოში დააბრუნა. ჩანს, რომ ცხმორისის მკვიდრები დიდ იმედებს ამყარებდნენ თავიანთ მთარველ წმინდანზე და ამაცობდნენ წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ტაძრით, ტაძრის წინ ორი ცხმორისელი ხელოსნის, კუანილისა და პონილის, ტყვეობიდან თავდახსნის სახსოვრად ბორკილებს ინახავდნენ. ცხმორისელ (ტყვედმყოფილ) კუანილს ბორკილები მადლიერების ნიშნად შეუწირავს წმ. გიორგის ტაძრისათვის და ეს რელიქვია ტბელ აბუსერისძის დროსაც ეკლესიის წინ თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოთენილი: „ანცა გვიღვან ბორკილნი იგი წინაშე მისსა“ - გვაუწყებს მწერალი. ამ ისტორიას შემდეგნაირად გადმოგვცემს: ცხმორისის მკვიდრნი სიღარიბისგან თავის დასაღწევად („ღონედ სიგლახაკისა თვისისა“)

სპარსეთის საზღვართან ახლოს საშოვარზე („მოსარენელად“) იყვნენ წასულნი და მაჰმადიანებმა („აგარიანთა“) დაატყვევეს, წმ. გიორგის შეევედრნენ განთავისუფლებას : კუანილი გულმოდგინედ მარხულობდა, პონილი „მცირედ ურწმუნო იქმნა“, თუმცა ისიც ევედრებოდა წმიდანს და როცა გიორგობის დღესასწაული დადგა, წმ. გიორგი გამოეცხადა მათ, ორივე აღიტაცა და კუანილი („რომელმან უმეტესი აჩვენა სარწმუნოება“) „მეცა შინა დასუა კარსა ეკლესიისასა ცხმორისს, სადა არს ტაძარი სახელსა მისსა. და იხილეს რაი მუნ შემოკრებილთა დღესასწაულებად, აღიდებდეს ყოველნივე დიდსა მონამესა გიორგის“. პონილი კი „ურწმუნო ქმნისათვის“ მხოლოდ საქართველოს საზღვართან მოიყვანა და „ძლითღა სლვით“ მოაღწია მშობლიურ სოფლამდე. კუანილისა და პონილის ამბის რეალიზება ნათელია. გარდა იმისა, რომ იგი ცხმორისის წმ. გიორგის სასწაულებს შეეხებოდა, მორალურ სწავლებასაც შეიცავდა. იგი ჯერ ცხმორისის ტაძრის მომლოცველებს, ხოლო შემდეგ ტბელ აბუსერისძის მოთხრობის ყველა მკითხველს მარტივ ჭეშმარიტებას შთააგონებდა, რომ ღვთის რწმენა და ქრისტიანული მსახურება გულმოდგინებას საჭიროებდა (მიქელაძე, 2013:63-64).

ღვთისა და მისი წმინდანების მადიდებელნი ცხმორისის დაბაში ყოველთვის მრავლად ყოფილან, 1570 - იანი წლების შემდეგაც, როცა აჭარის სხვა სოფლებთან ერთად ცხმორისიც ოსმალებმა დაიპყრეს და ისლამის გავრცელება დაიწყეს. ცხმორისის წმ. გიორგის ეკლესიამ XVIII საუკუნის 30- იან წლებამდე იარსება და ამ პერიოდში, უმრევლოდ და უფუნქციოდ დარჩენილი, ნანგრევებად იქცა: „ძველად აქ დიდი ეკლესია ყოფილა. 1730- იან წლებში დაუქცევიათ“ - წერს ზ. ჭიჭინაძე. (აბაშიძე, 2012:33).

ისტორიულ ქარტეხილებს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია უძველესმა ტოპონიმებმა, რომლებიც ისტორიის თავფურცელს ინახავენ ხშირად. ცხმორისში დღესაც არის ადგილი „ნაოშვარი // ნასაყდრალი“. გადმოცემის თანახმად, „XVI ს-ში ჩვენმა წინაპრებმა სძლიეს ოსმალებს. მათი შთამაგონებელი ძალა კი წმ. გიორგი ყოფილა.

მომხდურებმა გაიგეს ქართველი ვაჟკაცების „საიდუმლოება“, რის გამოც მიწასთან გაასწორეს ეკლესია და საყდარი, ნანგრევები ღელეში გადაყარეს“(ანანიძე 1977: #93).

სამასწლოვანი ოსმალის მონობის მიუხედავად, ამ კუთხის მოსახლეობისთვის ქრისტიანული სარწმუნოება ოდითგანვე, ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, ერთობ ძვირფასი და განუყრელი რწმენა ყოფილა. არა ერთი ისტორიულ კრებულსა თუ აჭარის ისტორიის ნარკვევებში ვხვდებით ამ კუთხის ტრაგიკული ისტორიებს: რწმენასთან დაკავშირებით, ქვეყნისა და ერის კეთილდღეობასთან და სხვა.

განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, ამ კუთხის მოსახლეობის თავდადებული ბრძოლები თურქ-ოსმალის წინააღმდეგ, სადაც ქრისტიანული რელიგიის გამო ეწირებოდნენ. მტერმა სანადელს მაინც მიაღწია და ეს მხარე საუკუნეების განმავლობაში მაინც მათ დაქვემდებარებაში აღმოჩნდა.

დღეს განსაკუთრებით, ყურადსაღებია ის გარემოებები, რომ ამდენი საუკუნის მერეც ამ კუთხეში შენარჩუნებულია განსაკუთრებული მიდგომა წმინდა გიორგის მიმართ.

ბათუმის შოთა რუსთაველის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფონდებში გვხვდება აუარებელი მასალა ამ კუთხის შვილთა გმირული თავგადასავლებისა, რომელთა ბრძოლებში განსაკუთრებული როლი წმინდა გიორგის მიუძღვის. მათ ბრძოლებში, ტყვეობაში თუ სხავთა ღვაწლში, ყოველთვის მალულად თუ ღიად წმინდა გიორგი შეეწეოდა.

მნიშვნელოვანი ისტორიას ინახავს ტოპონიმ „ნაომვარის“ ეტიმოლოგია და მასთან დაკავშირებული სასწაული. მაგალითად: „ქედის რაიონის, სოფელ დანდალოს ხიდიდან ათიოდე კილომეტრში, სოფელ დანდალოს შემოგარენში, მთის ერთ ფერდობს **ნაომვარს//ნაომვალს** ეძახიან. თურქობის უამს წინდახედულ ცხმორისლებს ამ ფერდობზე მთის მეორე ფერდობამდე გვირაბი გაუთხრიათ ისე, რომ მეორ ბოლომდე არ გასულან. მტრის ერთ-ერთი შემოსევის დროს ქართველებს თავი გვირაბისათვის შეუფარებიათ. ოსმალოებს მიდამო დაუთვალიერებიათ და სხვა გასასვლელი რომ ვერ უნახავთ,

გვირაბის თავში დაბანაკებულან იმის იმედით, რომ ქართველები წყურვილსა და შიმშილს ვერ გაუძლებდნენ და გვირაბიდან გამოვიდოდნენ. ამასობაში ქართველებს გვირაბი ბოლომდე გაუთხრიათ, მთის ფერდობზე გასულან და მტერს ზურგიდან დასხმიან თავს. მხოლოდ ერთი ასკერი გადარჩენილა და სულთანთან ამბავი მიუტანია, ქართველებს ვილაც „წმინდა გიორგი“ ეხმარებოდა და იმიტომ გვძლიესო.

სულთანს ახალი ლაშქარი გამოუგზავნია ცხმორისისაკენ. ამ ლაშქარს გზად სამი ძმა შეუპყრია და მათთვის მეგზურობა დაუვალეზიათ. ძმებს იმდენი მოუხერხებიათ, რომ მტერი შორ-შორი გზით უტარებიათ. ამასობაში ქართველებს შეუტყვიათ მტრის შემოსევების ამბავი, შეკრებილან და მტერს სათანადოდ დახვედრიან. მართალია, ოსმალოებს სამივე ძმა დაუხოცავთ, მაგრამ ქართველებს არც მათგანი დაუტოვეზიათ ამბის წამლები. ბრძოლის ადგილისათვის ხალხს ნაომავარი//ნაომვალი უწოდებია (ნოლაიდელი , 2010: 242).

თუმცა შემდგომში ისტორიიდან, ფოლკლორული წყაროებიდან და სხვათა მასალებიდან ვგებულობთ, რომ „გადარეულ სულთანს ცხმორისის ეკლესია მიწასთან გაუსწორებია და შური ამითი უძევიაო...“ საუბედუროდ, ისე დაუნგრევია რომ დღეს, მის ადგილსამყოფელოს მიახლოებითაც კი ვეღარ ასახელებენ.

წმინდა გიორგი და ზოგადად ქრისტიანული სარწმუნოება, ამ კუთხისათვის ყოველთვის განსაკუთრებულ ნიშას წარმოადგენდა, ამიტომაც იყო რომ მტერი აქცენტს დაპყრობითი ომების დროს, სწორედ რწმენაზე ამახვილებდა.

ამ კუთხის ისტორიაში, ტრაგიკულია ამბავი წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დანგრევისა, რომელზედაც ცნობა შემონახულია ზემოაღნიშნულ საარქივო მასალებში. კერძოდ: „ვარანეული ახლა ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურის შემოგარენში მდებარე ვენახია. თავდაპირველად, ვარანეული მშვენიერი სოფელი ყოფილა. ახლანდელი გობრონეთის ქართველებისათვის სჯულის შეცვლის მოსურნე ოსმალ დამპყრობლებს სოფლის მაცხოვრებლები დანდალოს ხიდთან მიურეკიათ, ხიდზე წმინდა გიორგის დარბეული ეკლესიიდან გამოტანილი ხატები დაუყრიათ და ხალხისთვის მათზე გადავლა

უბრძანებიათ. ოსმალთს ასკერები მათრახებითა და ხმლებით დარევიან ხალხს, მაგრამ არც ერთ ადამიანს ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ. მაშინ ჩვილები ხელიდან გამოუგლეჯიათ დედებისათვის, ხიდზე გაუყვანიათ ბავშვებს აქნეული ხმლით შუაზე კვეთდნენ და წყალში ყრიდნენ. ამის დამნახავი დედები პირდაპირ წყალში ცვიოდნენ, თურმე. მაგრამ მაინც არ შემდრკალან ვარანეულელები. ბოლოს სოფელთაგან ხუთი ყმანვილი ქალი შეურჩევიათ ჰარამხანისათვის ოსმალთებს, მაგრამ შუა ხიდზე ისინიც ხელიდან დასხლტომიან მტერს და წითლად შეღებილ აჭარისწყალში გადაშვებულან. გაჩანაგებული და გავერანებული სოფლისათვის ვარანეული(ვერანეული)უნოდებია ხალხს (ნოღაიდელი , 2010: 242).

ჭეშმარიტად, მსგავსი ომების, ხალხის რწმენისა და ერთგულების დამსახურებაა, რომ დღეს აჭარა ისევ დედა საქართველოს შემადგენელი ნაწილია.

აი რას წერს საქართველოს ბედით შეწუხებული ავტორი: „ოდეს მოგებისათვის ცოდვათა ჩუენთაისა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოისაი ივლტოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაისა და მონყუედასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაციშვილთა წარტყუენვასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა ამერისა საქართველოისათა, ესე ჯუარი ქვისაი, რომელი ესუენა სახელსა წმიდისა მონამისასა, რომელი ბასილისა და ძისა მისისა იოვანესთვის არა დამორჩილებულ იყო ტაძარსა შინა საკვირველებით აღშენებულსა დასუენებასა, ხოლო ჩუენებით ხილვითა ნეტარისა იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშვიდობისაითა, რომელი საქმითცა აღესრულა, მას უამსა შეესუენა ნამუშაკევსა თვისა“ წერს აბუსერისძე, ავტორი საქართველოს ხუარაზმელთაგან განთავისუფლებას და ტაძარში ჯვრის დასვენებას ერთიან სიბრტყეში განიხილავს, ასევე ხუარაზმელთა გამო ქართველთა ხიზნობა, არის შედეგი „ოდეს მოგებისათვის ჩუენთაისა“, იგივე აზრია გატარებული „ანდერძში“ სადაც მწერალი ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიაზე მოგვითხრობს. ტაძრის მშენებლობის სასწაულებს და „სრული საქართველოის“ მტრებისაგან გათავისუფლებას აბუსერისძე აქაც ერთიან კონტექსტში მოიხსენიებს: „ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისა....., მუშაკობასა შინა მრავალი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან

სსნისანი: ქვისა დასაცემელად განმზადებულისა; წამოქცეულთა კლდეთაგან მშვიდობით სსნანი მრავალთანი; ხანგრძლივად სანეულოდ განმზადებულისა, მესყუელად კურნებანი; და კაცისა მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა“, მოვლენათა ამგვარი ახსნით აბუსერისძე ერის გადარჩენის უმთავრესს შემოქმედად ეკლესიის წიაღს სახავს. მისი შემოქმედების საგანმანათლებლო შინაარსაც, უმთავრესად ეროვნულ ქრისტიანული იდეა განსაზღვრავს (ხალვაში, 1998:10).

სწორედ ასეთ ვითარებაში იწყება ხიხათა წმ. გიორგის ეკლესიის აგება, ე.ი. მაშინ, როდესაც „კაცისმჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოსა“ ჩვეულებრივი ამბავი გახდა და საჭირო იყო ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის თანადგომა. თვითონაც ამბობს, მაგრამ შედარებით მოკრძალებით და დაკონკრეტებით. ამ დროს საჭირო არისო „წინაშე მისსა (წმ. გიორგის ხატი) ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე (ე.ი წმ. გიორგის) გარე განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაი ჩემი გამოუთქმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოითა წინაშე მდგომარეობითა და დადუმებულითა კითხვითა წმიდისა სახარებისაითა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით“. შემთხვევითი არ არის წმიდა გიორგის ხსენება ღვთისმშობლის გვერდით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ავტორი ღვთისმშობლის წილხვდომილობის ფაქტორს (მესიანისტური თვალსაზრისის ერთ-ერთი ფორმულა) იყენებს და იშველიებს. ღვთისმშობლის წილხვდომილია ერთიანი საქართველო, წმინდა გიორგის შემწეობასა და ძლევამოსილებას აღიარებს ერთიანი საქართველო, ან, როგორც თვითონ წერს, „სრული საქართველო“. ამ ასპექტით გაიაზრა აბუსერისძე ტბელმა წმ. გიორგის როლი ჩვენი ისტორიის უძძიმეს დღეებში და ხელთუქმნელი ხატის ჩამოსვენების იდეასთან შერწყმული (საეკლესიო და პოლიტიკური ფაქტორები) ერის გადარჩენისა და წინსვლის (მესიანისტური იდეის) ერთ-ერთ იმპულსად, კომპონენტად დასახა. ამიტომ უთმობს იგი დიდ ადგილს წმ. გიორგის ახალი საწაულებების გადმოცემას თავის თხზულებაში (ტბელ აბუსერისძე, 1998: 98-99).

ესქატოლოგიური მოტივები, როგორც ცნობილია, მაშინ იკიდებს ფეხს საზოგადოებაში, როცა ხალხი მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება, ასეთი უამი კი საქართველოს სწორედ მაშინ დაუდგა, როცა XIII საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანა შესძრა და აათორიაქა ხვარაზმელთა ხუთწლიანმა თარეშმა. სწორედ ამგვარი ძნელბედობის უამს ერის გადარჩენასა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ტვირთს სასულიერო ფენა იღებს საკუთარ თავზე (იქვე, 99).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ადრეულ ნიმუშებშიც კი აქცენტირებულია ქრისტიანული ცხოვრებისა და ეკლესიური შემეცნების ლიტურგიკული აზროვნების ასეთი გარდაუვალობა, რატომ ისჯება ქვეყანა, ერი?! „წმ. შუშანიკის წამების“ მიხედვით ვარსქენის გამაზდენება ერში დაგროვილი ცოდვების შედეგია. „წმ. აბოს წამების“ ავტორი არაბობის მომძლავრებას ქვეყანაში ესქატოლოგიური უამით ხსნის. „წმ. კოსტანტი კახის მარტვილობის“ მიხედვით, ბულა-თურქის აგრესია ქვეყანაში ქრისტიანთა დევნა ახსნილია იმით, რომ ქართველებმა დაივიწყა ქრისტე: „ხოლო გზაი იგი ჭეშმარიტებისაი არა გულისხმაყვეს“ (ძეგლები 1964. 168).

ძველთაგანვე ქართველი კაცის ფსიქიკას სულიერება, სწორი ეკლესიური ცხოვრება აცისკროვნებდა და როცა ავცდებით ჭეშმარიტებისაკენ სავალ გზას, როგორც აგიოგრაფი ბრძანებს: „ხოლო გზაი იგი ჭეშმარიტებისაი არა გულისხმაჰყვეს“ მაშინ დადგებოდა უამი გამოცდისა და განსაცდელისა“. მიუხედავად იმისა, ქართველი ხალხი დასაბამიდან იბრძოდა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურის და ტერიტორიების გადასარჩენად, სამწუხაროდ ამასთან ერთად არსებობდა შური, ღალატი, ამპარტავნობა. გავიხსენოთ უამთააღმწერელის „მონღოლთადროინდელი მათიანე“, სადაც ავტორი აღნიშნავს: „რამეთუ ქვეყანა საქართველოსა მიეცა განსაყვრნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევესა მეფეთა და მთავართა სამართალი, მონყალეა, სიყვარული სინრთოება, სიმშვიდე, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, ხდომა, სიძულვილი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უნესობანი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი: „ვაი მათდა, რომელი კვლასა ბალამისს შეუდგეს“ და საქმესა სოდომელთასა იქმან, რამეთუ

ყოველმან ასაკმან ბერთა და ჭაბუკთამან, მცირითგან ვიდრე დიდადმდე, მოაქცის სიბორელთა მოინია. და ამის ძლით მისცნა იგი ღმერთმან წარწყმედად ბოროტად, რამეთუ განვიწირენით ღმრთისა მიერ, რომელ დავივინწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვივინცა. და მოოხრდა ქვეყანა საქართველოსა, ლიხთ აქათ მოოხრდა“ (თვარაძე, 1982:302).

ავტორის ლექსიკაში გვხვდება ტერმინი „სისულელე“, რაც უარყოფით მუხტს არ იწვევს მკითხველში. იგი დასტურდება როგორც „გიორგის სასწაულებში“ ასევე „ქრონიკონში“, აღსანიშნავია მისი გამოყენების ყველა შემთხვევა. „ქრონიკონი“-დან:

1) „ჩუენგან წინაძლომად დანერეს ჩუენ რომელთამე კაცთა სისულელისათვს“ (334 ო)

2) „სისულელისა ჩუენისა გასაგონებლად საჭირო უჩნდა წმიდათა ღმრთისათა“ (329 ო)

მოტანილი ფრაზების აზრი ასე გაიგება: ა) ქართული წელთაღრიცხვის ბერძნულისაგან განსხვავებულობა რით არის გამოწვეული, ვერ განმარტავენ, უბრალოდ ქართველებმა ასე ვირწმუნეთ და ამით არაფერი დაშავებულა, კალენდარული გაანგარიშება სრულ შესაბამისობაშია ბერძნული ბერძნულთანო (აბუსერისძე 1998: 338).

3) „რომელი დაეტევის სისულელესა ჩემსა, ზეპირ საცოდნელი უწყებათაიცა შეუდგინო 4)“, (319 ო) რასაც ჩემი ცოდნა შესწვდება, ისე განვმარტავო, „რომელი დაეტევის სისულელესა ჩემსა“.

ლ. მუსხელიშვილის განმარტებით: „გიორგის სასწაულნი“ „ესე წმიდათა მოციქულისაებრ, სისულელით გამორჩეულთა, ნეშტი ამის სასწაულისაი ნეტარისა იოვანეს შვილსა იოსებისთვისცა დაუტევა“ (350 ო). ამ ეპიზოდში წმიდა მოციქულებზეა საუბარი, შესანიშნავად „უვიცობის გამო არჩეულნი (ქრისტეს მიერ) სწავლულ ფარისეველთა საწინააღმდეგოდ“ (აბუსერისძე ტბელი, 1998:338).

„ადამიანთა სისულელე“ უნდა გავიგოთ როგორც მათი უბრალოება, ლიტონობა, განათლების გარეშე რწმენა. განათლებული და განსწავლული ფარისევლები ღმერთს

გმობენ, ხოლო გაუნათლებელი ღვთის მირწმუნენი თავიანთი „სისულელით“ გაჩხრეკა - გამოძიების გარეშე რწმენით ბევრად აღემატებიან განათლებულ ურწმუნოებს (იქვე, 338).

ავტორის თავმდაბლობა, პატივისცემა, თანამედროვეთა და მკითხველთა მიმართ სხვა ეპიზოდებშიც გვხვდება. კერძოდ: „ანდერძიდან“:

1) „უნცი, რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღმრთივ მინიჭებულისა კეთილისაი, გარდა ამათ წმიდათა ღმრთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულ-ქმნაი ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაი (350 r)

2. „ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყვასა მოკლედ მოვიდე მე, არალირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაი და სიყუარულისათვს იძულებული და არასაკადრებლად ვერმომთმინე აბუსერისძე ტბელი“ (315 v).

სიმდაბლე არის კარი სასუფევლისა, საკუთარი ცოდვების შემეცნებისა და განცდის შედეგი. თავად მაცხოვარი სოფლისა გვაფრთხილებს: „რომელმან აღიმარლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს“ (მ. 8. 12). ეკლესიის წმინდა მამები სიმდაბლეს სათნობათა დედას უწოდებენ. იგი გულიდან მოდის და ადამიანის სულიერების ამაღლების უმაღლესი გამოხატულებაა. სიმდაბლეს სულის სიმშვიდე მოაქვს. მაცხოვარი გვამცნობს: „მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მ.11.29).

რაც შეეხება ნეტარი იოსებისა და წმინდა მთავარმონამის სულიერ ერთობას: „ხოლო ამასა ნეტარს იოსებს, ვითარცა ჰაჰასა მისსა ბასილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუენებით ეზრახებოდის წმიდაი ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა ხორციელთა შინა მყოფი. და ოდესმე ხმაი ესმოდის მონამისაი და ოდესმე თუალითა იხილის სხვთა და სხვთა ხატითა და ყოვლადვე არა უკვირდის, ვითარცა ხორციელისა მეგობრისაი. ნეტარი იოსებ დაღაცათუ არა ცხად-ყოფდა, გარნა მამაი დაფარულთაი მიაგებდა მას ცხადად, სიტყვისაებრ საღმრთოისა პირისა“ (მათე 6.6,18) აღნიშნული

ფრაზა: „ნეტარი იოსებ დალაცათუ არა ცხად-ყოფდა, გარნა მამაი დაფარულთაი მიაგებდა მას ცხადად, სიტყვისაებრ საღმრთოისა პირისა“ ეხმიანება მათეს სახარების „ლოცვისათვის“: „შენ კი როცა ლოცულობ, შედი შენს ოთახში, ჩაიკეტე კარი და ილოცე დაფარულში მყოფი შენი მამისადმი. და შენი მამა. რომელიც დაფარულში ხედავს, მოგიზღავს შენ“,

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ „დავიდუმნე სასწაულნი წმიდისა მთავარმონაშისა გიორგისნი, ვინაითგან ვერცა ყოველი სოფელი აჰლრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თვითოეულისა ეკლესიისასა, რაოდენიცა არს სახელსა ზედა წმიდისა გიორგისა“, აღნიშნული ეპიზოდი ეხმიანება იოანეს სახარებიდან (იოანე 21.25). „ჭეშმარიტი დამონმება მონაფისა“, „კიდევ ბევრი სხვაც არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც, დანვრილებით რომ დანვრილიყო, ვფიქრობ, მთელი სოფელიც კი ვერ დაიტევდა დანვრილ წიგნებს ამინ“.

ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების გმირები უცხოელები არიან: შუშანიკი სომეხია, აბო არაბი, წმ. ნინო კაბადოკიიდან და სხვა. ეს არ არის შემთხვევითი - როდესაც სხვა ეროვნების ადამიანები ჩვენს ქვეყანაში სასიკეთო საქმეს აკეთებენ, თავად ჩვენ მოგვეთხოვება ღირსეული შვილი ვიყოთ მამულისა. სწორედ ამიტომ იხმობს ტბელ აბუსერისძე ესქატოლოგიურ მოტივებს, მას ფსიქოლოგიური ფუნქციაც ენიჭება და ერის გაფრთხილებასა გამოფხიზლებას ითვალისწინებს. როცა ბუნების ჰარმონია ირღვევა, ბუნებრივად დგება პრობლემა, ბუნების წინაშე ადამიანის მორალური პასუხისმგებლობისა.

ამგვარად, ავტორმა საჭიროდ მიიჩნია სარწმუნოებრივი გრძნობების გაღვიძება და გაძლიერება, სწორედ მაშინ როცა საქართველოს სულიერად უჭირდა.

ძირითადი დასკვნები

წარმოდგენილ თემაში საუბარია XIII საუკუნის მწერალზე, ისტორიოგრაფიული ასტრონომიული ტრაქტატების ავტორზე, წმიდა ტბელ აბუსერისძის შემოქმედებასა და ღვანლზე. როგორც ცნობილია, მისი შემოქმედება მოიცავს 5 თხზულებას: 1. «ახალნი სასწაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი»; 2. «გალობანი სამთა იოვანეთანი»; 3. «გალობანი მწვალელებელთა შეჩუენებისანი»; 4. «გალობანი წმიდისა ღმრთისმშობელისანი»; 5. «ქრონიკონი სრული მისითა საუნყებელითა განგებითა».

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია, „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი» ზოგიერთი საკითხები, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში პარალელები ეძებნებოდა, როგორც ისტორიულ, ასევე ფოლკლორულ წყაროებში. როგორც ცნობილია, თხზულება შეეხება ხიხათა ციხესიმაგრესთან ახლოს, ფოცხოვში, დაბა შუარტყლის წმ. გიორგის შემწეობით ეკლესიის სასწაულებრივ მშენებლობას - ტაძარს მარტო, სხვების დახმარების გარეშე აგებს დახელოვნებული ქვითხურო ბასილი. ტექსტში აღწერილი სასწაულები უკავშირდება მშენებარე ეკლესიის ეზოში დაბრძანებულ ჯვარს, რომელიც «სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმონამისა». ნაწარმოების ბოლოს ტბელ აბუსერისძე წერს: «ესევეითართა საკურველებითა დაესვენა (ჯვარი) ნამუშაკვესა თვსსა წმიდასა». «ნამუშაკვეი თვსი» აღნიშნავს ჯვრის და წმ. გიორგის ლოცვით და მეოხებით ნამუშაკვეს. ეს არის ალავერდის მთავარმონამე, რადგან ჯვარი მისი სახელობისა იყო. ასეა გაშინაარსებული ნაწარმოებში საღვთო მადლის განფენა ერთი ტაძრიდან მეორეში, რითაც ვითარდება «იოანე ზედამწეის ცხოვრებასა» და «აბიბოს ნეკრესელის წამებაში» მოცემული თემა: «ხოლო ამის ნეტარის იოვანეს მონაფეთაგანმან ალაშენა ალავერდი, რომლისაგან გამოვლენ დიდნი საკურველებანი, ვიდრე დღენდელად დღედმდე».

ტბელ აბუსერისძის თხზულების ეიკონურ ცენტრს ალავერდის წმ. გიორგის მიერ განძიდან (განძა) ტყვის გამოხსნის ეპიზოდი წარმოადგენს. მოთხრობაში წმ. გიორგის ფრესკული სახე გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. შუბის

ნაცვლად მას ხელთ უპყრია მათრახი, ხოლო თეთრი ცხენის ნაცვლად ჰყავს «ჭარმაგი» (თეთრზე შავით დანიწკლული) ცხენი. ნიშანდობლივია, რომ ეს თავისებურებები ქართული იკონოგრაფიული ტრადიციით არის ნაკარნახევი, კერძოდ, ალავერდის წმ. გიორგის ტაძრის მოხატულობით.

თხზულება გამოირჩევა აღმზრდელიობითი და ტროპოლოგიური მნიშვნელობის ხაზგასმით. წმ. გიორგი «სწავებით განაძლიერებს» მთავარ პერსონაჟს - ბასილის. თითოეული სასწაული კი ზნეობრივი მაგალითის ხასიათს იღებს და არც თუ იშვიათად მთავრდება მორალური შეგონებით, რითაც ნაწარმოები ფოლკლორულ ტექსტებს უახლოვდება. «წმ. გიორგის ახალ სასწაულთა» ავტორის სიახლოვე ხალხურ სამყაროსთან იმდენად დიდია, რომ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ჩნდება კარნავალიზების ელემენტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ პირთა ნართაული სახელები - ბოლოკ-ბასილი (შდრ.: «ბოლოკა»), «პონილი», «კუანილი», ხარის სახელები - «პირქუში» და «ქურდა». ნაწარმოებში ვხვდებით წმ. გიორგის მხიარულებასაც («ლალობა»): ის ქვის განაპობში ჩააყენებს ბოლოკ-ბასილის და იქეთ-აქეთიდან ქვებს შემოაჭერს, ბოლოს კი გაუშვებს და შეაგონებს მას: «წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლალობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: აღმოხედ და ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ-ქმენ ტაძარი ჩემიო». სხვა ეპიზოდში წმ. გიორგი ენამოჩლეცილ ხელოსანს მოფერებით პატარა ბავშვივით დაუძახებს: «ბაჩილო!», რითაც ავტორი წმ. გიორგის მამაშვილურ დამოკიდებულებას «ქრისტეში ჩვილებთან» (1 კორ. 3.1-3) ქადაგების მნიშვნელობას ანიჭებს.

საგულისხმოა, ის ფაქტიც, რომ თხზულებაზე დართულ „ანდერძში“ ტბელ აბუსერისძე ერთიან საქართველოს «სრულ საქართველოს» უწოდებს, რომელსაც ხვარაზმელთა სახით «კაცის მჭამელნი მგელნი» შემოესივნენ. ნიშანდობლივია, რომ მათ განდევნას, ჩვეული პროვიდენციალიზმიდან გამომდინარე, მწერალი საქართველოს ზეციური მფარველის - წმიდა გიორგის მეოხებას მიანერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წმიდა ტბელ აბუსერისძისთვის დამახასიათებელია ჰიმნოგრაფი მწერლის განსაკუთრებული მეტყველების ლაკონიურობა და სურათოვნება. თხრობა სადა, დახვეწილი და უშუალოა. მის შემოქმედებაში ვხდებით სახარებისეული სახე-სიმბოლოებს, ტროპის სახეებს, ალეგორიებს. ყურადსაღებია მწერლის ისტორიული დასურთხატება, რომელიც გამორჩეული იმ პერიოდის რეალიებით.

აგრეთვე, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მწერლის ძირითად მოტივებზე, რწმენასა და ეროვნულ იდეალებზე, რაც მწერლის მთავარ სათქმელს წარმოადგენს.

ამრიგად, სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე, ტბელ აბუსერისძე იყო არის და იქნება, ერისა და ქვეყნის მოღვაწე, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მე-13 საუკუნის მწერლობაში. წმიდა ტბელ აბუსერისძემ თავისი მოღვაწეობით ღირსეული ადგილი დაიკავა წმინდანთა დასში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბაშიძე, 2012:** აბაშიძე შალვა, „მშობლიური სახელები“ , (ცხმორისის თემის წარსული და აწმყო), გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი.
2. **აბუსერისძე, 1998:** აბუსერისძე ტბელი „თხზულებანი“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.
3. **ანანიძე, 1977:** ანანიძე დ., გაზეთი „კოლმეურნე“ ქელა, (24.5).
4. **ბარნაველი, 1961:** ბარნაველი თეიმურაზ, „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“, კრებული შეადგინა და განმარტებები დაურთო თეიმურაზ ბარნაველმა, თბილისი.
5. **ბეჭირიშვილი, 1991:** ბეჭირიშვილი იოსებ, „ქრისტიანობა აჭარაში,“ „თბილისი“.
6. **ბროსე, 1868:** Brosset M., „Etudes de Chronologie par“ ,1868 St. Petersburg.
7. **გაბიძაშვილი, 1968:** გაბიძაშვილი ენრიკო, „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი.
8. **ენციკლოპედია, 2007:** ენციკლოპედია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი,

ავტორ-შემდგენლები: ენრიკო გაბიძაშვილი, მანია მამაცაშვილი, ანა ლამბაშიძე, თბ.,

9. **ვარდოსანიძე, 2009:** ვარდოსანიძე ფიქრია, „აბუსერისძენი“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერი, მასალები), გამომც. „სეზანი“, თბ.,
10. **თვარაძე, 1982:** თვარაძე რევაზ, „ქართული პროზა“, ტ. III, თბილისი.
11. **კეკელიძე, 1951:** კეკელიძე კორნელი, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I.
12. **მიქელაძე, 2013:** მიქელაძე ნაილე, „ტოპონიმური-თქმულება გადმოცემები აჭარაში“ (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომიდან), ბათუმი.
13. **მეტრეველი, 1962:** მებრეველი ელ. „მასალები იერუსალმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
14. **მეგრელიშვილი, 2009:** მეგრელიშვილი მერაბ, „აბუსერისძეთა საგვარეულო“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ 2009 წლის ოქტომბერ-ნოემბერი, მასალები), გამომც. „სეზანი“, თბ.,
15. **მუსხელიშვილი, 1941:** მუსხელიშვილი ლევან, აბუსერისძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე, თბილისი.

16. **ნოღაიდელი 2010:** ნოღაიდელი ნანული, „თქმულებები ქრისტიანობისათვის თავდადებულთა შესახებ აჭარაში“, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა“, 2010 წლის მაისი, მასალები), გამომც. „სეზანი“, თბ.,
17. **ჟორდანი, 1982:** . ჟორდანი თ., ქრონიკები, I, გამ. საქართველო“, თბილისი.
18. **საქართველოს ისტორიის მასალები, 1957:** საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს) დაიბეჭდა „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 30, გამ. საქართველო“. თბ.,
19. **სახოკია, 1950:** სახოკია თ., მოგზაურობანი, გამ. „საბჭოთა საქართველი“, თბილისი.
20. **სირაძე, 1987:**. სირაძე რამაზ „ქართული აგიოგრაფია“ გამომც. „ნაკადული“, თბილისი.
21. **სიხარულიძე, 1963:** სიხარულიძე იური, „ტბელ აბუსერისძე, XIII საუკუნის ქართველი მწერალი“ სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
22. **შარაშიძე, 1954:**. შარაშიძე ქრ, საქართველოს ისტორიის მასალები, დაბეჭდილია: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნარკვ. 30, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
23. **ჩიკვაიძე, 2009:** ჩიკვაიძე ნუგზარ, „ღმერთში მყოფობის განცდა წმ. ტბელ აბუსერისძის სასწ. წმიდისა გიორგისნი-ს მიხედვით“, ნუგზარ ჩიკვაიძე, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერისძის სახელობის

უნივერსიტეტი, სხალთის ეპარქია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“ 2009 წ. ოქტომბერ-ნოემბერი. გამომც. „სეზანი“ თბ.,

24. ხალვაში, 1998: ხალვაში რამაზ, ტბ. აბუსერისძის სახისმეტყველება, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი.

25. ჯავახიშვილი, 1979: ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.,

26. Google search:

27. <http://www.orthodixy.ge/dgesaswaulebi/giorgoba.htm>.

28. <http://martmadidebloba.ge/mrtsamsi3.html>

29. <http://www.orthodoxy.ge/tveni/noemberi/30-andria.htm>.

30. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0patriarc--00-1--0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&a=d&cl=CL3&d=HASH01e92244d8c8da0b015a7cb6>.